პროლეტარიანო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. ტ. ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 81-ე წელი

 კვირა, 5 ნოემბერი, 1950 წ. № 249 (8809). ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, ბრძოლებში გამოწრთობილ საბჭოთა ხალხის ავანგარდს, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაული

ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის შრომელთაგან უდიდესი სიხარულით ეგებებიან დიდ დღესასწაულს—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33 წლისთავს.

1917 წლის 7 ნოემბერი (25 ოქტომბერი) უდიდესი თარიღია მსოფლიო ისტორიაში. ეს დღე გახდა კაცობრობის ისტორიის შემობრუნების პუნქტი, კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ შემობრუნების პუნქტი. ამ დღეს ალმოცენდა პირველი საბჭოთა სახელმწიფო და კაცობრობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა—სოციალიზმის გამარჯვების ერა. და რაც უფრო მეტი დრო გადის დიადი თარიღიდან—1917 წლის 7 ნოემბრიდან, მით უფრო აშკარა ხდება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდესი მნიშვნელობა ყველა ქვეყნის შრომელთათვის, მთელი კაცობრობის აწმყოსა და მომავლისათვის.

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსათვის უდიდესი სიამაყის წყაროდ გრძნობით აღიარება თვითეული საბჭოთა ადამიანის გული, როცა იგი თვალს გადაავლებს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან გასულილ პერიოდს—ჩვენი ქვეყნის შრომელთა გმირული ბრძოლებისა და ისტორიულ გამარჯვებათა პერიოდს.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით შობილმა საბჭოთა წყობილებამ მთელი სიცხადით დაანახვა ყველას თავისი უდიდესი უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით. საბჭოთა წყობილების ცხოველმყოფელობა, სოციალისტური სახელმწიფოს ძლევამოსილება და სიდიადე ბრწყინვალედ გამოვლინდა ოთხივე მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტზე, ისე ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვისათვის ბრძოლებში.

ჩვენი ქვეყნის შრომელებმა, რომლებიც 33 წლის წინათ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის უღლისაგან გაათავისუფლა, უმძიმეს ეადაში უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გმირკვეები მოიპოვეს. საბჭოთა ხალხმა ძლევამოსილად დაიცვა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი მრავალრიცხოვანი მნიშვნელობა და გარეშე მტრებისაგან სამოქალაქო ომის ორასნაწილ წლებში, სწრაფად აღადგინა ომით დანგრეული სახალხო მეურნეობა და შემდეგ იგი სოციალისტურად გარდაქმნა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინური პოლიტიკის ბრწყინვალედ განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირში გაიმარჯვა სოციალიზმმა, საბჭოთა სახელმწიფო გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე ძლიერ, ყველაზე მტაცე, სახელმწიფოდ. საბჭოთა ხალხმა, გადაუვლია რა დიდ სამამული ომში, გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები, გმირულად დაიცვა თავისი საშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, კაცობრობისა იხსნა ფაშისტური დამონების საერთხოსაგან და ახლა ახორციელებს სოციალიზმიან კომუნიზმში გადასვლის ამოცანას.

ჩვენი ქვეყნის შრომელები წარმატებით ასრულებენ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედით დასახულ გრანდიოზულ სამეშოურს. საბჭოთა ადამიანების ინიციატივისა და შრომითი ენთუზიაზმის შედეგად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად, რომელმაც ათეულ მილიონობით მეშო, კოლეკტორნე და მოსამსახურე მოიცვა, ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ახალი ალმაღლობის, ფეიერეულობის და კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში.

ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტი გაუმჯობესება საბჭოთა საზოგადოების კანონია. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მან ხალხს მოუტანა არა მარტო პოლიტიკური თავისუფლება, არამედ მატერიალური კეთილდღეობაც. ჩვენი ქვეყნის შრომელებისათვის უცხოა უმუშევრობა, შიმშილი და სხვა ბაჭირეები. საბჭოთა ადამიანები ყოველდღე გრძნობენ იმ უდიდესი მზრუნველობის შედეგს, როგორსაც ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა მათ მიმართ იჩენენ.

ჩვენი ქვეყნის შრომელთა ყველა ეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის წარმატება შესაძლებელი გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნეოგებით. ეს რატომ არის, რომ საბჭოთა ხალხი დიდი ზეიმით აღნიშნავს ოქტომბრის დღესასწაულს.

განუზომელია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობა. ჯერ კიდევ 26 წლის წინათ თავის სტატიაში „ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა" ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა:

„ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობა ფდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ის წარმოადგენს ერთი ქვეყნის დიად თაოსნობას იმპერიალიზმის სისტემის გარღვევის საქმეში და სოციალიზმის პირველ ეტაპს იმპერიალისტური ქვეყნების ოკეანეში, არამედ იმაშიც, რომ ის შეადგენს მსოფლიო რევოლუციის პირველ ეტაპს და მისი შემდგომი გაშლის მძლავრ ბაზას". ასევე ამხანაგ სტალინის გენიალური წინასწარმეტყველება. ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარება, ჩინეთში სახალხო რესპუბლიკის გამარჯვება ოქტომბრის რევოლუციის იდეების ახალი ზეიმია. თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა ერთადერთ ქვეყანას, სადაც ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის, სადაც შრომელები განაგებენ თავიანთ ბედ-იღბალს. ახლა კი იმპერიალიზმის ბორკილებს თავი დაანწიეს პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ალბანეთის შრომელებმა, 475 მილიონიანმა ჩინელმა ხალხმა, გერმანიის თეუელ მილიონნობით ადამიანმა. განთავისუფლებელი ხალხები მთელ თავიანთ ისტორიულ წარატებებს უმადლიან საბჭოთა კავშირს, რომელმაც გაანადგურა რა გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები, ევროპისა და აზიის ქვეყნებს თავისუფლება მოუტანა. საბჭოთა კავშირის სისტემატური და უანგარო დახმარებით, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილების გამაყენებით სახალო დემოკრატიის ქვეყნების შრომელები, დიდი ჩინელი ხალხი წარმატებით ქმნიან ახალ ცხოვრებას, აშენებენ სოციალისტურ საზოგადოებას.

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შრომელთა მიერ პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მოპოვებული ისტორიული გამარჯვებანი შესაძლებელი გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეოხებით. ამიტომ არის, რომ ოქტომბრის დიად დღესასწაულს დიდი სიხარულით აღნიშნავენ ამ ქვეყნების შრომელები.

საბჭოთა კავშირის დიადი მაგალითით სწავლობენ ყველა ქვეყნის შრომელები თავიანთი მტრების წინააღმდეგ, ექსპლოატატორების, ხალხების დამონებელთა, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლისა და გამარჯვების. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მაგალითი აღაფრთოვანებს მთელი მსოფლიოს ექსპლოატატორებულ, ჩაგრულ მასებს თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ჯერ კიდევ ადრე, 1919 წელს, როცა ჩვენი ქვეყანა სამოქალაქო ომის კარკეტლში იყო გახვეული, საბჭოთა სახელმწიფოს უფმამდგენელი ვ. ი. ლენინი საბჭოთა ხელისუფლების შესახებ ამბობდა: „მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი უკვე მიხვდა, რომ ეს ხელისუფლება მშრომელთა ხელისუფლებაა, რომ მხოლოდ ის არის კაპიტალიზმისაგან, კაპიტალის ულოსაგან, იმპერიალისტთა შორის ომებისაგან ხსნის საშუალება, რომ მხოლოდ ის უზრუნველყოფს მტაცე მშვიდობას".

ისტორიამ მრწყინვალედ დაადასტურა ლენინის ეს გენიალური წინასწარმეტყველება. ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ ყველა ქვეყნის შრომელებს უჩვენა თავისუფლებისა და ბედნიერების მოპოვების, ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის დამყარების ერთადერთი სწორი და სამართალი გზა, დადასტურებული საბჭოთა კავშირის 33 წლის გამოცდილები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა პრაქტიკით. საბჭოთა ხალხი დღეიდან ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა ყოველთვის დაუფალავად იბრძოდა და იბრძვის მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. საბჭოთა სახელმწიფოს შშვიდობისმოყვარე სტალინური საგარეო პოლიტიკამ უდიდესი მხარდაჭერა ჰპოვა ყველა ქვეყანაში.

ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტებს, რომლებიც სისხლში ახრჩობენ თავისუფლებისმოყვარე კორეელ ხალხს, სურთ ახალი ომის ცეცხლში გახვევინ მთელი მსოფლიო. მაგრამ მათ ბოროტ განზრახვას განხორციელება არ უწერია. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები, რომლებსაც სათავეში უდგას მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო — საბჭოთა კავშირი, ჩაშლიან ინგლისელ-ამერიკელ აგრესორთა ცდებს—გაანაღვლ მესამე მსოფლიო ომი.

მთელი მსოფლიო პროლეტარიატი, ყველა ქვეყნის შრომელები იქედან თვალით შემოსაყურებენ საბჭოთა კავშირს — დემოკრატიისა და სოციალიზმის ბაბაკის უძლეველ ხელმძღვანელს, რომელმაც გზა გაუკაფა ხალხებს ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრების მოპოვებისათვის და რომელიც იბრძვის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა უფლებებისა და დამოუკიდებლობის დაცვაზე. ეი რატომ არის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად ოქტომბრის რევოლუციის დიად დღესასწაულს სიხარულით აღნიშნავენ შშრომელები მსოფლიოს ყველა კუთხეში.

საბჭოთა ხალხს მსოფლიო ისტორიული გამარჯვებანი, რომლებიც უდიდესი სიამაყის გრძნობით აღავსებს თვითეული საბჭოთა ადამიანის გულს, ყველა ქვეყნის შშრომელთა გულს, მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიის, ბოლშევიკების პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით. ბოლშევიკების პარტიამ, მისმა გენიალურმა ბელადებმა—ლენინმა და სტალინმა დარაზმეს ჩვენი ქვეყნის შშრომელები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ბოლშევიკების პარტიამ უხრუველყო საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვება. ბოლშევიკების პარტია სათავეში უდგას და ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმის მშენიერალებისაკენ.

ამ საზეიმო დღეებში, ისე როგორც ყოველთვის, ჩვენი საუკეთესო ფიქრები მიმართულია კომუნიზმის დიდი ხელოსნისმოძღვრის, მშვიდობის მედროშის ამხანაგ სტალინისაკენ. ყველაფერი ის, რითაც ამყოფენ საბჭოთა ადამიანები, ყველაფერი ის, რითაც ძლიერი და უძლეველია ჩვენი სოციალისტური საშობლო, დიდი სტალინის სახელთან არის დაკავშირებული. სტალინი საბჭოთა ხალხის უძლეველობის სიმბოლოა. სტალინი ელენინელ-ტორებულია და ყველა ჩაგრულთა იმედი, მხსნელი და მფარველი. აი რატომ არის, რომ ასე გულთბილად, ასეთი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით წარმოთქვამენ ამხანაგ სტალინის სახელს მთელი პროგრესული კაცობრობის, ყველა ქვეყნის შრომელები.

უსაზღვრო საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელი ხალხის სიხარული. იგი ზეგ იდღესასწაულებს ოქტომბრის რევოლუციის 33 წლისთავს. ამ დღეს იგი შეაჯამებს ბრძოლისა და გამარჯვების 33 წლის შეგებებს და ძლევამოსილად გასწევს წინ ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, ლენინურით:

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი

სადღესასწაულო საჩუქრები სამშობლოს

★ ★ ★

მანქანები გეგმის გადამეგებით

დიდი ოქტომბრის დღესასწაულს მოახლოებამ თბილისის ორკონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანაში ახალი შრომითი ლმაღლობა მოიტანა. ქარხნის კოლექტივმა ვადამდე გადაწყვეტა სოტქმბრო ვალდებულებანი და ამავამად ახალ საჩუქრებს უმზადებს სამშობლოს.

განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად აქ ოქტომბერში იმუშავეს. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 109,2 პროცენტით შეასრულეს, გეგმის ვადამეტებით გამოუშვეს ყუთძნის წნეხები, ჩაის დამსარისხებელი მანქანები და რედუქტორები.

მეკანიკურ სამეურნეოში გამართეს 5-ტონიანი ხიდური ამწე, რომელმაც დიდად გაადვილა დაზგებზე დეტალების მიწოდება.

ამავამად ქარხანაში თავდადებით მუშაობენ ახალი კონსტრუქციის ყუთძნის სამტონიანი წნეხის წარმოების ასათვისებლად. ამ წნეხის პირველ საცდელ ეგზემპლარს ამ დღეებში აწყობენ.

ოქტომბერში ყველაზე უკეთესი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა სინსტრუმენტო-ეშპერიმენტალურმა საამქრომ, რომელმაც გეგმა 115 პროცენტით შეასრულა. ასევე კარგად იმუშავა ამწეობამ საამქრომ.

ცალკეულ სტახანოვლებს შორის კვლავ ყველას უსწრუს მდარავილ. გოქაძე, რომელმაც ოქტომბრის გეგმა სამმაგად შეასრულა, ხოლო ზეინალაშვ. ომანიძემ დაგალუბას 150 პროცენტი.

—o—

ახალი ქსოვილები

თბილისს აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ამეამად აწარმოებენ აბრეშუმის ქსოვილის რიული სანეიმის სურათებით დაჩითვას. ინკინერთა ჯგუფმა მხატვარ-კოლორისტ ი. ირდიმელის ხელმძღვანელობით შეისწავლა და წარმოებაში დანერგა მოსკოვის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის „ერანსაა ოროსა" გამოცდილება. ამ კომბინატში ოთხი შაბლონის კომბინირებული დალაგებით შვიდფერად ჩითავენ კრეპ-ს ჯგუფის ქსოვილს. ამ მეთოდით ქსოვილი იჩითება მყარი საღებავების ნაზავით და შეიცავს სხვადასხვა კონცენტრაციის მქონე გარდამავალ ფერებს.

ფაბრიკის სამხატვრო განყოფილებამ მხატვარ ვლ. ცხვარაძის ხელმძღვანელობით შემოიღო ქსოვილის ათფეროვნად დაჩითვა, რაც ათი შაბლონით რიული სანეიმის სურათებით ფორმდება, ამასთანავე ინარჩუნებს საუკეთესო ხარისხს.

ინკინერ-ტექნიკოს ქ. ოსაძის წინადადებით ქსოვილის დასაჩითავ შაბლონებად ახლა აბრეშუმის ნაცვლად ხმარობენ კაპრონს ქსოვილს, რომელსაც ხუთჯერ მეტი გამძლეობა აქვს.

ფაბრიკის კოლექტივი საუკეთესო ხარისხისა და რიული დაჩითულობის აბრეშუმის ქსოვილის მასობრივი გამოშვებით ეგებება დიდი ოქტომბრის ოცდამეცამეტე წლისთავს.

სტახანოვური საამქროები

სოტფმი. (საკ. კორ.). ქალაქის ოცზე მეტმა საწარმომ ვადამდე გაანადა საოქტომბრო ვალდებულება და გეგმის ვადამეტებით დიდადი პროდუქცია გამოუშვა.

სტალინის სახელობის თამბაკოს ფაბრიკის კოლექტივმა ხუთწლიანი გეგმის ვადამეტებით სამშობლოს მისცა 340 მილიონამდე ცალი პაპიროსი. მეთამბაკოეებმა მნიშვნელოვნად გადაკაჭრეს საოქტომბრო ვალდებულებასაც. განსაკუთრებით დაწინაურდნენ სპალიზე, თამბაკოსა და სატენეტერ საამქროები, რომლებმაც სტახანოვური საამქროების წოდება დაიმსახურეს და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

ახალი საწარმოო გამარჯვებით ხვდება დიად დღესასწაულს ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივი. მან ოქტომბრის გეგმის ვადამეტებით სახელმწიფოს მისცა 2.500 წყვილი ფეხსაცმელი. დაზოგილია ათასობით ყვადრატული დეციმეტრი ტყავის მასალა. ოქტომბერში მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ დამამზადებელი, რანტ-სამკერვალო და ფეხსაცმლის გადამამზადებელი საამქროები, რომლებიც წინათ ჩამორჩენილი იყვნენ.

ოქტომბრის დღესასწაულს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან ავტოგეჯ საკონსერვო და სანავსადგურო მოწყობილობათა ქარხნების, საკონდატრო ფაბრიკის და სხვა საწარმოთა კოლექტივები.

—o—

მეჯალურგთა შრომითი წარმატებანი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სამაყო საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან ზესტაფონელი მეტალურგები დიდ დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავს. განსაკუთრებულ წარატებას მიაღწია ფერროშენადნობთა ქარხნის სადნობი სამქროს კოლექტივმა, რომელსაც ინკენერი გ. შათირიშვილი ხელმძღვანელობს. ამ სამქროს დიდი გადაჭარბებით შეასრულა საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმისას ნაკისარი საწარმოო ვალდებულება და ამავე დროს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოგვცა ელექტროენერგიის დაზოგვაში. ოვით საამქროში ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ბრიგადირ მდნობელებს ი. გიორგაძეს, ბ. გამგებელს, დ. თორნოლაძეს, ი. აბესაძეს, ა. შარიქაძეს, მ. ვაშაყიძეს და ს. კვინიკაძეს.

გამართულად და რიტმულად მუშაობს მარგანეცის საამქროს კოლექტივი, რომელსაც ინკენერი ნეოლიბა ბაოთამაძე ხელმძღვანელობს. ამ საამქროში გაუსაკუთრებით მაღალი საწარმოო მაჩვენებლები აქვთ დ. ბოგვერაძის ცვლას და კ. დვალის ბრიგადას.

შესანიშნავ წარმატებას მიაღწია საამქროს კოლექტივმა, რომელსაც სტალინური პრემიის ლაურეატი ინკენერი ბ. ყორიძე ხელმძღვანელობს. გარდა ამისა, რომ საამქროს დიდი გადაჭარბებით შეასრულა გეგმა, ამასთან საგრანტობლად გაადიდა პირველი მარკის ლითონის გამოშვებაც.

წარმატებით გაანადგეს საოქტომბრო ვალდებულებები ელექტროდების, მექანიკური და სამსხმელო საამქროების კოლექტივებმა.

დაიწყო ციმბრუსოვანთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაიწყო ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევითი კრეფა. „ლიმმანტრუსტის" ბახისჯაურის საბჭოთა მეურნეობის პირველმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ვ. კენჭაშვილი ხელმძღვანელობს, კრეფის დაწყების პირველ დღეს 40 ათასი ცალი მანდარინი მოკრიფა, ხოლო მესამე ბრიგადამ ალეროიანის კოლეტივმა—32 ათასი ცალი. სულ მოკრეფილ იქნა 80 ათასი ცალი საუკეთესო ხარისხის მანდარინი.

მეურნეობის შემფუთავი ბაკალონი უკვე შეუდგა მიღებული ნაყოფის გადამუშავებას. პირველ დღეს შეფუთეს 50 ათასი ცალი მანდარინის ნაყოფი.

ციტრუსოვანთა კრეფა დაიწყო აგრეთვე ბათუმის რაიონის სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში". ამ მანდარინის საკრეფად გავიდნენ მეხუთე ბრიგადის წევრები, რომელსაც ენობილი მეკიტრესე ფ. თურმანიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ პირველ დღეს მოკრიფა და დამამზადებელ პუნქტს ჩაბარა 23.600 ცალი მანდარინი. შერჩევითი კრეფა დაიწყეს აგრეთვე ამავე კოლმეურნეობის მესამე ბრიგადის წევრებმა. ციტრუსოვანთა ნაყოფის შერჩევით კრეფას შეუდგნენ აგრეთვე ქობულეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობასა და კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში", ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში.

ამ დღეებში მოსკოვისა და ლენინგრადის შშრომელებს გაეგზავნებათ 10 ვაგონი ციტრუსოვანთა ნაყოფი. უკვე გაგზავნილია ციტრუსოვანთა ახალი მოსავლის პირველი პარტია.

—o—

შეასრულეს წლიური გეგმა

ჟუთაისი. („კომუნისტის" კორ.). ჟუთაისის მტს-ის (დირექტორი ე. ნემსაწყვეტიძე, მთავარი პოლიტიკურ ნაწილში ი. ქურქიძე) კოლექტივმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ეყო ჩაბმული სამტრედიის მტს-ის კოლექტივთან, სასახელოდ გაანადგა ნაკისრი ვალდებულება. 1 ნოემბრისათვის წლიური სატარაკორო სამუშაოები შესრულებულია 12.150 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.000 ჰექტარისა.

სამტრამბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეორე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი თ. გიგიაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 2.000 ჰექტარის ნაცვლად სატრაქტორო სამუშაო შეასრულა 2.800 ჰექტარზე.

წლიური დავალება 120 პროცენტით გაანადგეს ა. შუშაკიძისა და ა. ბერიძის სატრაქტორო ბრიგადებმა. შეჯიბრებაში თავი ისახელა ტრაქტორისტმა ფ. ხაინრავამ. მან სამეშაო შეასრულა 800 ჰექტარზე, გეგმა კი 530 ჰექტარს ითვალისწინებდა.

მტს-ის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღისათვის წლიური გეგმა შეასრულოს 115 პროცენტით და დაზოგოს საგრძნობი რაოდენობის საწვავი.

ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეგებით სახელმწიფოს ჩაბარონ 2.500 ცენტნერი ყურძენი

ამბროლაურის რაიონის ის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 30 ოქტომბრისათვის 101 პროცენტით შეასრულეს ყურძნის ჩაბარების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიონის მეიანენი ამბ. **კახიძე** და შშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ბიბილაშვილი** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარონ 2.500 ცენტნერი ყურძენი.

3

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების მუშაკების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 25 მაისის ბრძანებულების შესაბამისად **ჩაის მწვანე ფოთლისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა საბჭოთა მეურნეობებმა 1949 წელს შეასრულეს სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმა და 1950 წლის საგაზაფხულო თესვა მთლიანად უზრუნველყვეს ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნან:**

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

82. **სტავნიჩუკი** ელენე სტეფანეს ასული — გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

83. **სტადნიკი** მარიამ ტიმოთეს ასული — ზუგდიდის რაიონის ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

84. **ტიმოშენკო** ნატალია ექვთიმეს ასული — ზუგდიდის რაიონის ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

85. **ტკაჩენკო** რაისა დიმიტრის ასული — ზუგდიდის რაიონის ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

86. **ფედჩენკო** ევდოკია ანდრიას ასული — წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

87. **ფირონოვა** ნატალია ივანეს ასული — ზუგდიდის რაიონის ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

88. **ხარამიშვილი** მამანტი არჩილის-ძე — წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

89. **ხარჩილავა** ნათელა გახას ასული — წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

90. **ხურცილავა** თათუშა რაჟდენის ასული — გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

91. **ხუჭუა** აკაკი ივანეს-ძე — ოჩამჩირის რაიონის მოქვის საბჭოთა მეურნეობის ეკონომისტი.

92. **ცაპკოვა** ეკატერინე მიხეილის ასული — ზუგდიდის რაიონის ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

93. **ციცავა** ვახტანგ ალექსანდრეს-ძე — წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

94. **ჩაიკოვსკაია** დარია გრიგოლის ასული — ზუგდიდის რაიონის ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

95. **ჩაჩუა** ვალერიან ლუარსაბის-ძე — ოჩამჩირის რაიონის მოქვის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების გამგე.

96. **ჩერემისინა** მარიამ მიხეილის ასული — ზუგდიდის რაიონის ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

97. **ჩერტოვა** ანა ვასილის ასული — ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

98. **ჩილაჩავა** ბოჩო ვიქტორის-ძე — წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

99. **ჩუგაი** ანტონინა ნიკიფორეს ასული — წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

100. **ჩუჩვარევა** ნინო გრიგოლის ასული — ოჩამჩირის რაიონის მოქვის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

101. **შინკოვა** ანა ვასილის ასული — ქობულეთის რაიონის ოჩხამურის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

102. **შონია** იური ყარამანის-ძე — ზუგდიდის რაიონის ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

103. **შულაია** აკაკი კონსტანტინეს-ძე — ზუგდიდის რაიონის ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

104. **შუტკინა** დარია ვალენტინის ასული — გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

1. **ბოიკო** ანა ალექსის ასული — ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

2. **ჯღარკავა** ბაბუცა გიორგის ასული — გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

3. **ყიფიანი** დანიელ ისიდორეს-ძე — ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობის უფროსი ეკონომისტი.

4. **კლიუჩანსკაია** ელენე ანტონის ასული — გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

5. **პროხოროვა** მარიამ ანდრიას ასული — ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

6. **სიჭინავა** ნესტორ ლუკას-ძე — ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

7. **შავდია** მედეა ამირანის ასული — გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

* დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" №№ 242, 243, 244, 245, 246, 248.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1950 წლის 31 ივლისი.

მორიგი მიღება საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში

1 ნოემბერს ჩვენი ქვეყნის ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში დაიწყო მორიგი მიღება საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა და სამთამადნო მრეწველობის სკოლებში. 15 დეკემბრამდე შრომითი რეზერვების სამინისტროს სასწავლებლებში მიიღება 16-18 წლის ასაკის ათეულ ათასობით მოსწავლე. სკოლებში ისინი მიიღებენ კალატოზის, მღებავის, ხუროს, მეალცავის, მექურისა და სხვა სპეციალობას.

ორგანიზებულად დაიწყო მიღება მოსკოვის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში. უკვე მიღებულია 2 ათასი განცხადება კალუგისა და რიაზანის ოლქების სოფლის ახალგაზრდობისაგან. მოსკოვის სკოლები უმთავრესად მშენებლებს მოამზადებენ. (საკდესი).

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე ტომი
(მეორე გამოცემა)

გამოვიდა და ხელისმომწერლებს ეგზავნებათ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე გამოცემის მეორე ტომი. ტომში დაბეჭდილია ორი ათასამდე სტატია — სიტყვა „აქტებიდან" სიტყვა „არიეტამდე". კერძოდ, შეტანილია სტატიები ისეთ თემებზე, როგორიცაა: „ინგლისის XVII საუკუნის ბურჟუაზიული რევოლუცია", „1917 წლის აპრილის დემონსტრაცია", „ანთროპოგენეზი", „ამანგელდი იმანოვი"; სერია სტატიებისა ალუმინისა და ანილინსაღებავების საბჭოთა მრეწველობის შესახებ, სტატია რუსეთის ფლოტის ისტორიიდან—ნეველსკის 1849-55 წლების ამურის ექსპედიციის შესახებ და სხვ.

უძლეველია მშვიდობის ძალები

ისე როგორც ყოველთვის, მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციის მსვლელობის პერიოდში მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები იმედის თვალით შეჰყურებდნენ ჩვენი სამშობლოს გულს — მოსკოვს. კონფერენციის ტრიბუნიდან მსოფლიოს ჩაგრული ადამიანები ისმენდნენ ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლების მგზნებარე პატრიოტულ სიტყვებს. თავიანთ სიტყვებში ისინი გმობდნენ ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა ავაზაკურ ომს კორეაში, ილაშქრებდნენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, დასავლეთ გერმანიის ახალი ომის პლაცდარმად გადაქცევის წინააღმდეგ.

მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციის დელეგატის მწერალი ქალის მ. ალექსიძის (მარიჯანის) მოხსენება მოისმინეს გუშინ მწერალთა კავშირის კრებაზე, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ა. გომიაშვილმა.

— სისხლიანი ხელებით ეპოტინებიან მსოფლიოს გაუმაძღარი იმპერიალისტები, — თქვა ამხ. ალექსიძემ, — მათ ყველგან სურთ გაბატონება, სურთ პატარა ერების განადგურება. მათ ვერ მოუნელებიათ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებმა არათუ აღადგინეს ომით დანგრეული ქალაქები და სოფლები, არამედ ახალ გიგანტურ მშენებლობასაც ეწევიან. ისინი ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას, სურთ ჩაგვითრიონ ახალ ომში. მაგრამ ძლიერია მშვიდობის ფრონტი. მშვიდობისათვის ბრძოლაში გაერთიანდნენ მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები, რომელთაც სათავეში უდგას მშვიდობის ბურჯი — საბჭოთა კავშირი.

საქართველოს დელეგატებმა მეორე საკავშირო კონფერენციაზე გამოთქვეს ქართველი ხალხის სურვილი — თანმიმდევრულად იბრძოლონ მშვიდობისათვის.

— მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენცია,—ამბობს მწერალი ა. ბეიშვილი, — მოეწყო იმ პერიოდში, როცა იმპერიალისტური ამერიკა ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთიდან ყუმბარებს უშენს კორეის მშვიდობიან მოსახლეობას, ანადგურებს ქალაქებსა და სოფლებს. დაე იცოდნენ იმპერიალისტებმა, რომ ისინი ამ დანაშაულისათვის სასტიკ პასუხს აგებენ მთელი კაცობრიობის წინაშე.

კრიტიკოსმა ვ. წულუკიძემ აღნიშნა: მშვიდობის მომხრეთა ბანაკის უდიდეს ძალას ისიც ადასტურებს, რომ სტოკჰოლმის სამშვიდობო მოწოდებას ხელი მოაწერა ნახევარ მილიარდამდე კაცმა. ეს დიდი ძალა ბოლომდე დაიცავს მშვიდობას.

კრებაზე საკუთარი ლექსი წაიკითხა მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციის დელეგატმა პოეტმა აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა.

მშვიდობისადმი მიძღვნილი თავიანთი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა მაყვალა მრევლიშვილმა, სანდრო ეულმა, ხ. ბერულავამ, მ. ლებანიძემ, ა. სულაკაურმა.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ერთსულოვნად მოიწონა მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილება.

მისალმება გაეგზავნა მშვიდობის დიდ მედროშეს, ხალხთა ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს.

მაღნის დასატვირთავი თვითმავალი ვაგონი

კრასნოიარსკი, 2 ნოემბერი. (საკდესი). ოქტომბრის 33-ე წლისთავისათვის კარგი საჩუქარი დაამზადა კრასნოიარსკის ორთქლმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივმა. აქ გააკეთეს მადნის დასატვირთავი თვითმავალი ვაგონი. თავისი ტექნიკური მონაცემებით და საექსპლოატაციოდ მოხერხებულობით იგი გაცილებით სჯობს ამავე მიზნისათვის განკუთვნილ ასეთი ტიპის ამერიკულ ვაგონს.

საკავშირო შეჯიბრებაში, გამარჯვებულნი

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ და საკავშირო პროფსაბჭომ შეაჯამეს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მესამე კვარტალის შედეგები და შეჯიბრებაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია მიაკუთვნეს ბორჯომის მუშის ქარხანას (დირექტორი გ. ბაქრაძე), რომელმაც მესამე კვარტალის გეგმა 117,8 პროცენტით შეასრულა.

გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია მიეკუთვნა აგრეთვე ზუგდიდის ჩაის პირველ ფაბრიკას (დირექტორი ა. შონია), რომელმაც გეგმა 140 პროცენტით გადაჭარბა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდნენ ნასაკირალის ჩაის ფაბრიკა და ლანჩხუთის ჩაის პირველი ფაბრიკა.

მესამე ადგილი მიეკუთვნათ ლაითურის ჩაის ფაბრიკას და ბორჯომის პურის კომბინატს.

* * *

საქართველოს სოფლის ელექტროსადგურების რესპუბლიკურმა საექსპლოატაციო კანტორამ 124 პროცენტით შეასრულა ელექტროენერგიის გამომუშავების მესამე კვარტალის გეგმა, ამასთან მიაღწია 790 ათასი მანეთის ზეგეგმით დაგროვებას.

მიღებულია ცნობა, რომ საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით საქართველოს სოფლის ელექტროსადგურების რესპუბლიკური საექსპლოატაციო კანტორა საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს, მიაკუთვნეს მას გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

* * *

ახალციხის შახტმშენებლობის სამმართველომ გადაჭარბებით შეასრულა მშენებლობის მესამე კვარტალის გეგმა. საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ ახალციხის შახტმშენებლები საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს, მიაკუთვნეს მათ პირველი პრემია, ფულადი ჯილდო და შეუნარჩუნეს გარდამავალი დროშა, რომელიც მეორე კვარტალში ჰქონდათ მოპოვებული.

სასოფლო-სამეურნეო ექსპონატების გამოფენა

ახალციხე. (საკ. კორ.). აქ მოეწყო სასოფლო-სამეურნეო ექსპონატების რაიონული გამოფენა, რომელშიც 20 კოლმეურნეობა მონაწილეობს.

გამოფენაზე წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალი ექსპონატი.

ყურადღებას იპყრობს სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობიდან წარმოდგენილი ნიმუშები, რომლებიც მეტყველებენ წელს ხორბლის, კარტოფილისა და ხილის უხვი მოსავლის მიღებაზე.

სოფელ ურავლის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობამ გამოფენისათვის შეარჩია საუკეთესო ვაშლი, მსხალი, ხახვი და კომბოსტო. სოფელ სხვილისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ ადგილობრივი ჯიშის კარტოფილის, 19 სხვადასხვა ჯიშის ვაშლისა და მსხლის შესანიშნავი ნიმუშები წარმოადგინა.

ახალი ქუთაისის სიამაყე

ახალი ქუთაისის სიამაყეა სამთო მანქანათმშენებელი ქარხანა. შორს, საბჭოთა კავშირის მრავალ კუთხეში გაიტანა ამ ქარხანამ ქუთაისელ მანქანათმშენებელთა მაღალნაყოფიერი შრომისა და ტექნიკური მომწიფებულობის ამბავი. ჩვენი ქვეყნის მრავალ შახტში მუშაობენ აქედან გაგზავნილი პატარა, ვერცხლისწყალივით მოძრავი სამახტო ელექტრომავლები. მრავალ საწარმოში, მრავალ ქალაქში იცნობენ ქუთაისელი მანქანათმშენებლების მიერ ბეჯითად ნაკეთები ლენტური ტრანსპორტერების მაღალ თვისებებს. ახალი სახელი და დიდება შემატეს აქაურ მუშათა შრომას კომუნიზმის დიადი მშენებლობებისათვის დამზადებულმა მანქანებმა—ღრმა არტეზიულმა წყალსატუმბავებმა.

ახალი შეხედულებებისა და ახლებური სულიერი ცხოვრების ადამიანები მუშაობენ ამ ქარხანაში. აღტაცებითა და სიყვარულით ლაპარაკობენ მათს შესახებ, მათი მიღწევებისა და ზრდის შესახებ ქარხნის ხელმძღვანელი მუშაკები — დირექტორი მიხეილ ივანოვი, მთავარი ინჟინერი გიორგი ასათიანი, საქარხნო პარტორგანიზაციის მდივანი გიორგი ნაცვლიშვილი და საქარხნო პროფორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

I

რაც უფრო ნაკლები მოცულობისა და მაღალი წარმადობისაა მანქანა, რა დანიშნულებისაც უნდა იყოს იგი, მით უფრო ძვირფასად და სრულყოფილად მიიჩნევენ მას წარმოებაში. მცირეგაბარიტიანი მანქანა ნაკლებ ადგილს დაიკავებს, მეტ პროდუქციას მოგვცემს, მოკლე დროში აანაზღაურებს გაწეულ ხარჯს და გაადიდებს საწარმოო ფართობის ყოველი მეტრის მიხედვით გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას. თუ საერთოდ გაბარიტების საკითხი მანქანათმშენებლობაში ერთ-ერთ მთავარ საკითხადაა მიჩნეული, მით უფრო დიდია ამ საკითხის მნიშვნელობა სამთამადნო მრეწველობაში, განსაკუთრებით ქვანახშირის მრეწველობაში.

ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელ ქარხანაში შეუდგნენ სამახტო ელექტრომავლების გამოშვებას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქარხნის ძირითადი საამქროების მოწყობილობის მონტაჟი დამთავრებული არ იყო. წინ მემონტაჟეები იყვნენ, დანადგართა ნაკადურად გამართვაზე მუშაობდნენ, ხოლო უკან მათ კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ამ დანადგარებზე საელმავლო დეტალთა დამმუშავებლები. დადგა საკითხი— უნდა შევამციროთ ელექტრომავლის გაბარიტი, უნდა გავხადოთ იგი სამახტო პირობებისათვის უსაფრთხოო და უაღრესად სწრაფმავალი. მეშახტეებმა იციან, რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ შესაძლებლობა ექნეთ ელმავალი პირდაპირ სანგრევში შეიყვანონ. ეს ნიშნავს სანგრევებიდან და, მაშასადამე, მთელი შახტიდან ქვანახშირის გამოზიდვის ერთიორად და ერთისამად გადიდებას. ჩვეულებრივი ელექტრომავლით შტრეკშიც ვერ შევალთ. იქ ზოგჯერ ელექტრომავთულიდან ანაზდეულად ავარდნილ ელექტრონაპერწკალს დიდი უსიამოვნების გამოწვევა შეუძლია.

ქუთაისელმა მანქანათმშენებლებმა შეძლეს შედარებით სრულყოფილი, შახტებში საიმედოდ გამოსაყენებელი, უაღრესად გაუმჯობესებული, უმცირესგაბარიტიანი ელექტრომავლების გამოშვება, ისეთი სამახტო ელექტრომავლებისა, რომლებიც უკანასკნელ სიახლეს წარმოადგენენ სამთამადნო მანქანათმშენებლობაში. გარდა ამისა, მანქანათმშენებლებმა შეძლეს ამ ელექტრომავლის საპროექტო შრომატევადობის შემცირება 410 საათით.

ელექტრომავლის გაბარიტისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს ინჟინერ-ტექნოლოგმა დიმიტრი გალოგრემ, მთავარმა კონსტრუქტორმა ვალენტინ ქადაგევმა, დისპეტჩერმა შოთა ბარბაქაძემ, ტექნოლოგმა კონსტანტინე ნაცვლიშვილმა, მოწინავე სტახანოველებმა — ლითონმსხმელმა ვასილ გამგებელმა, მჭედელმა დავით ანასაშვილმა, ამწყობმა ზეინკლებმა ვლადიმერ ლევიძემ და ბორის ყუფარაძემ და მრავალმა სხვამ.



ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის მოწინავე ადამიანები (მარცხნიდან მარჯვნივ): ლითონმსხმელი ვ. გამგებელი, მეყალიბე გ. ბანძელაძე, ამწყობი-ზეინკლები ბ. ყუფარაძე, ო. კობეშავიძე, მრანდავი ზ. კინწურაშვილი, ხარატები გ. გაჩეჩილაძე და ბ. ხაბურზანია. თავისუფალ დროს ისინი ეცნობიან ურთიერთის მუშაობის ხასიათს. **სურათზე:** გამოცდილი ამწყობი-ზეინკალი ვარლამ ხელიძე მათ განუმარტავს ამწყობ საამქროში სამუშაოთა ორგანიზაციას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

II

მიკრონი მილიმეტრის ერთი მეათასედი ნაწილია. სიზუსტის მაღალი კლასის მანქანებში სხვადასხვა ნაწილების ურთიერთ მორგებისათვის ზომათა თუნდაც რამდენიმე მიკრონით განსხვავება დაუშვებელია. სულ რამდენიმე ხნის წინათ სამთო მანქანათმშენებელ ქარხანაში დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდათ ამ მიკრონებისათვის.

როდესაც გამოცხადდა, ვოლგაზე იწყება კომუნიზმის დიად მშენებლობათა — სტალინგრადისა და კუიბიშევის გიგანტურ ჰიდროელექტროსადგურთა აგებაო, ქუთაისელმა მანქანათმშენებლებმა გადაწყვიტეს თავიანთი შრომის ნაყოფით მიეღოთ მონაწილეობა ამ დიად საქმეში. მათ იკისრეს სტალინგრადელი და კუიბიშეველი მშენებლებისათვის მიეწოდებინათ შრომის შემამსუბუქებელი მოწყობილობა — ღრმა არტეზიული ტუმბოები, რომლითაც შეიძლება წყლის ამოტუმბვა წიაღის 90-100 მეტრის სიღრმიდან. შეუდგნენ ასეთი გაუმჯობესებული ღრმა სატუმბავი დანადგარის გაკეთებას, მაგრამ თავი იჩინა ლითონის გაუთვალისწინებელმა ჭირვეულობამ. ტუმბოს მთავარი დეტალის — ორმეტრიანი და 550-მილიმეტრიანი ღერძის სახარატო დაზგაზე დამუშავებისას ვერავითარი გზით ვერ მოახერხეს საჭრისის გავლის უაღრესი სიზუსტის დაცვა. დაზგაზე ღერძი თვალის შეუმჩნევლად ილუნებოდა, საჭრისის გავლის შემდეგ რამდენიმე მიკრონით ზომაზე მეტ განსხვავებას იძლეოდა. ბევრი იფიქრეს, ბევრი იმუშავეს და ბოლოს მაინც დაძლიეს ლითონის სიჯიუტე. მანქანათმშენებელთა კოლექტიურმა შემოქმედებითმა აზრმა ამოცანა მარტივად გადაწყვიტა: დაზგის სუპორტს მოძრავი საყრდენები გაუკეთეს, ამით ღერძის გალუნვა აღიკვეთა და საპროექტო სიზუსტე მიღწეულ იქნა. აქედან გაგზავნილი პირველი ორი სატუმბავი დანადგარი უკვე მიუღიათ ვოლგელ მშენებლებს და 25 ოქტომბერს მათგან მადლობის დეპეშა მიიღეს ქუთაისში. მრავალი ასეთი წყალსატუმბავი დანადგარი აქვთ ახლა მათ გამზადებული მშენებელთათვის გასაგზავნად.

III

რა სიხარული გინახავს შენს სიცოცხლეში, თუ ჰკითხავთ ვარლამ ხელიძეს — ჭაღარამოსილ ხელოსანს, უპარტიო ამწყობ-ზეინკალს, პასუხად მოისმენთ:

— წინათ არაფერი, მაგრამ ახლა, ხედავთ რამდენა სიხარული მაქვს? და იგი მიგვითითებს მის მოწაფეებზე, ახლა დამოუკიდებლად მომუშავე და უკვე სახელმოხვეჭილ ამწყობ-ზეინკლებზე. გრიგოლ კარანაძე, ბორის ყუფარაძე, ოთარ კობეშავიძე, როგორც ხელოსნები, ვარლამის აღზრდილები არიან. კარგა ხანია მოწაფეებმა მასწავლებელს წინ გაუსწრეს, უნარიანად მუშაობენ, საკუთარი სიახლენი შეიტანეს მანქანათა აწყობის ტექნიკაში.

— ჩემი აღზრდილები ჩემზე უკეთესები რომ გამოდგნენ, ის მახარებს. ისინი თავიანთი შრომით ჩემს სახელს დავიწყებას არ მისცემენ...

აგერ, სამსხმელო საამქროდან კომკავშირელ ლითონმსხმელებს შოთა ჩხობაძეს და შალვა ხაჟალიას ციცხვი მოაქვთ. შიგ 150 კილოგრამი ადუღებული ლითონია, და საჭიროა სწრაფად, რამდენიმე წუთში მიაწოდონ ეს ლითონი მეყალიბეებს. მეყალიბე-ნოვატორები თენგიზ ქურდიანი და გივი ბანძელაძე მოუთმენლად მიელიან ამ ლითონს.

იქ ლითონმსხმელებს შელაპარაკება მოუვიდათ და მათმა ბრიგადირმა, ატლეტიკური გარეგნობის 22 წლის ლითონმსხმელმა ვასილ გამგებელმა საქმის განსასჯელად საამქროს ტექნოლოგს კოტე ჭეიშვილს მიმართა:

— არაფერი გამივიდა შალვა ხაჟალიასთან. მაინცდამაინც პირველი ეტაპება სავსე ციცხვს, წამოავლებს ხელს და მეწყვილესთან ერთად მიარბენინებს. ვეუბნები — ნაავადმყოფარი ხარ, სუსტად ხარ, ჩამოსხმაზე იმუშავე, ამას ჩვენ წავიღებთთქო, მაგრამ გაგონილა...

— სასწრაფო საქმეა, რა ქნას!

— ხელახლა რომ ავად გაგვიხდეს, კიდევ გაცდება, ბრიგადა ამას ვერ აიტანს. ესეც არ იყოს, მოგეხსენებათ, სიმძიმეთა აწევით გალახული კაცი... ჰოდა, ახლა ჩვენ შეგვხედე! ჩვენთვის ეს სასიამოვნო ვარჯიშის ფარგალს არ შორდება...

ასე ალგვზარდესო, ამბობს ვასილ გამგებელი — ადამიანებს უნდა გავუფრთხილდეთ, შრომა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ სახალისო იქნეს.

IV

სამჭედლო საამქროს კომკავშირელებმა კრებაზე განიხილეს ინჟინერ კოვალიოვის ინიციატივის თავიანთ საამქროში დანერგვის საკითხი. მსჯელობის საგანი ახალგაზრდა მჭედლის ვიქტორ სანიკიძის მუშაობა გახდა. ვიქტორი გეგმას ვერ ასრულებს, საამქროს უკან ეწევა. ცდილობს უკეთ მუშაობას, ლითონის უკეთ გამოჭედვას, მაგრამ არ გამოუდის. რატომ ვერ დაეუფლა სანიკიძე მჭედლის ოსტატობას?

ამავე დროს მის მახლობლად დავით ანასაშვილია. ისიც კომკავშირელი, ისიც საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლიდან მოსული. დავითი შესანიშნავად დაეუფლა პროფესიას, გეგმას 280-300 პროცენტით ასრულებს, მის ნაჭედ დეტალებს წუნი არ დაედება.

ანასაშვილმა იკისრა სანიკიძის შეფობა — შევასწავლი ჩემი მუშაობის ყველა ხერხს, დიდი ოქტომბრის ზეიმის დღეებისათვის ვიქტორს მოწინავე სტახანოველთა წყებაში საპატიო ადგილის დაკავების საშუალება ექნებაო, და ამ დაპირების შესასრულებლად ორი კვირის განმავლობაში მთელი თავისუფალი საღამოები შესწირა ამხანაგისათვის დახმარების გაწევას.

— დიდი დრო მოვიგე სამშობლოსათვის, — ამბობს ანასაშვილი, — 15-ოდე საღამო მოვახმარე იმას, რომ ერთი კვალიფიციური ოსტატი შემატებოდა ჩვენს კოლექტივს. ის ხომ მრავალ ათეულ წლობით იმუშავებს, მაშასადამე, ეს დრო მოგებულია!

* * *

სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი საოქტომბრო ზეიმზე გამოსვლისათვის მზადებაშია. კოლონის წინ წაუძღვებიან ქუთაისელ მანქანათმშენებელთა მოწინავე ადამიანები. მათ შორის იქნებიან ელექტრომემშედუღებლები ვ. კობახიძე, ი. ჯიქია და უ. კუპრავა, ზეინკლები ვ. ლევიძე, ყუფარაძე და გ. ფხაკაძე, ხარატები გაჩეჩილაძე, ა. ძამუკაშვილი და ო. გადიბიძე, ინჟინრები ზ. ტურიძელაძე, ბაბუხადია, ნ. კვიცარიძე და ბ. შეგიძე და ქარხნის მრავალი სხვა წარჩინებული ადამიანი.

დ. ლომთაძე

ახალი დრო, ახალი ცხოვრება, ახალი ადამიანები

ოქტომბრის დროშით

ჩვენი სოფელი—ქვემო ბარღები წინათ არაფრით არ იყო ცნობილი. ისედაც მიწამცირე სოფელს მრავალი მუქთახორა უნდა ერჩინა. ჩვენებურ გლეხს სანახევროდ არ ჰყოფნიდა ჭირნახული. მისი სასტიკი მტერი იყო აქაური ჭაობების მკვიდრი—ციება და სხვა ათასგვარი ავადმყოფობა. ექიმბაშების ამარად მიტოვებულ სოფელში, ვინ იცის, რამდენი ავადმყოფი იღუპებოდა უპატრონოდ, მოუვლელად. არ მოიპოვებოდა თუნდაც ერთი წერაკითხვის მცოდნე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახე იცვალა ჩვენმა სოფელმა. მრავალი ჩვენგანი მოსწრებია ძველ ბარღებს. როგორ არ ჰგავს ძველ, ჩამორჩენილ, უკულტურო სოფელს, ახალი, კულტურულად და ეკონომიურად აღორძინებული ჩვენი სოციალისტური სოფელი!

მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად უმაგალითოდ წავიდა წინ ბარღები. კოლექტიურმა შრომამ ფეხზე დააყენა გლეხი, გამრავალფეროვნდა მისი ცხოვრება, სიახლე შეიჭრა მის ყოფაში. დღეს ჩვენი კოლმეურნის აღორძინებულ და კეთილმოწყობილ ოჯახს ელექტროშუქი ანათებს, ხოლო რადიო ბედნიერ აწმყოსა და მომავალზე ესაუბრება.

ჩვენმა კოლმეურნეობამ და მისმა წევრებმა ენერგიული შრომით მთელ საბჭოთა კავშირში გაითქვეს სახელი. კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 3 მილიონს მიაღწია. მარტო ჩაის შემოსავალი შარშან 1 მილიონ 300 ათასი მანეთი მივიღეთ, ხოლო წელს პრემია-წანამატთან ერთად 2 მილიონამდე მანეთს მივიღებთ.

ყოველწლიურად იზრდება შრომადღის ღირებულება. შარშან შრომადღეზე ფულად 19 მანეთი დარიგდა, ხოლო ნატურით—17 კილოგრამი მარცვლეული. წელს კიდევ მეტია ნავარაუდევი. კოლმეურნეთა უმრავლესობამ აიშენა კარგი სახლი, შეიძინა ძვირფასი საოჯახო ავეჯი.

წლების მანძილზე შეუნელებელ მუშაობას ვეწეოდით საკოლმეურნეო მინდვრებში მოსავლიანობის გადიდებისათვის. აგროტექნიკისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით შარშან ჩაის მოსავალი ჰექტარზე, გეგმით გათვალისწინებული 2 ათასი კილოგრამის ნაცვლად, 2.400 კილოგრამამდე ავიყვანეთ, წელს კი 3.800 კილოგრამი მივიღეთ.

დიდი მიღწევები გვაქვს სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საქმეშიც. ყამირი მიწების ათვისებით, ყანებში ნაკელის შეტანით და ნათესების წესიერი მოვლით, შარშან ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 25 ცენტნერის ნაცვლად, საშუალოდ 47 ცენტნერი სიმინდი მივიღეთ, წელს გაცილებით მეტს მოვიყვანთ.

ჩვენი კოლმეურნეობის შეძლებულობის ერთ-ერთი წყარო მეცხოველეობაა. მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებთ.

ჩვენ ვამაყობთ არა მარტო კარგი მეურნეობით, არამედ კეთილმოწყობილი და გამშვენიერებული სოფლითაც. სოფელს მრავალი კაპიტალური შენობა ამშვენებს. მათ შორის აღსანიშნავია 400-ადგილიანი კლუბის, საშუალო სკოლის, სასტუმროს, საავადმყოფოს შენობები და კოლმეურნეობის კანტორა. სოფელში მთლიანად ლიკვიდირებულია წერაკითხვის უცოდინარობა.

უანგარო შრომამ ააყვავა და აღორძინა ჩვენი სოფელი; შრომამ აამაღლა და დიდების შარავანდედით შემოსა ჩვენი კოლმეურნეები, მოწინავე ადამიანები. ამჟამად კოლმეურნეობას ჰყავს 26 სოციალისტური შრომის გმირი, 39 ლენინის ორდენოსანი, 40 შრომის წითელი დროშის ორდენოსანი და 5 მედალოსანი. კოლმეურნეობის ზოგიერთმა წევრმა მეორედ და მესამედ მიიღო ლენინის ორდენი.

ჩვენი ახალი, სოციალისტური ცხოვრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგია, ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის მზრუნველობისა და დახმარების შედეგია.

ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს თავისუფალი შრომის გენიალური შემოქმედი, ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი, მშვიდობის დიდი მედროშე, მშობლიური სტალინი!

გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ვლადიმერ გოგოხია, ქვემო ბარღების სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ესტატე გვაძაბია, კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი, ლენინის ორდენოსანი სერაპიონ ჩარგაზია, კოლმეურნეობის აგრონომი სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ ეხვაია, ბრიგადირები სოციალისტური შრომის გმირები: ძუკუ რიგვავა, აპოლონ გოგოხია, ერასტო ჭაავა, იოსებ აქუბარდია, მეურნეობის სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრა შონია, ჩაის მკრეფავი, სოციალისტური შრომის გმირი ლუცია სილოგავა, ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეები: პეტრე ლაგვილავა, დიტო ლურწკაია, ლუდა გუდგაია.

განხორციელებული ოცნება

არსებობს მშვენიერი ლეგენდა ბაზალეთის ტბის შესახებ. იგი მოგვითხრობს, რომ სადაც ახლა ცისფერი ტბა ღივლივებს, ოდესღაც ზღაპრული წალკოტი ყოფილა. აქ უცხოვრიათ ადამიანებს, რომელთა იმედად ოქროს აკვანში იზრდებოდა ყრმა — სიმბოლო ხალხის მომავალი თავისუფლებისა.

დროთა მსვლელობაში ადამიანთა ცრემლების ნაკადს ჩაუძირავს ოქროს აკვანი, დაუფარავს წალკოტი და წარმოშობილა ბაზალეთის ტბა.

ამ ლეგენდაზე აავო დიდმა ილიამ თავისი შესანიშნავი ლექსი, რომლითაც გამოხატა ხალხის რწმენა, რომ დადგებოდა დრო, როცა სახელოვანი ვაჟკაცი პირველი დაწვდებოდა ტბის ძირში მდგომ აკვანს, ამოიყვანდა ქართველისათვის დღე და ღამ სანატრელ ყრმას.

ასრულდა პოეტის იმედი. ლენინ-სტალინის პარტიამ, დიდმა სტალინმა სინამდვილედ აქციეს ხალხის ოცნება. ბაზალეთის ტბის ნაპირზე კვლავ იქმნება ახალი წალკოტი და ეს კუთხეც, როგორც ჩვენი დიადი სამშობლოს შემადგენელი ნაწილი, მიდის წინ — კომუნიზმისაკენ.

მოხუცი კოლმეურნე სანდრო პატროშვილი გვიამბობს: — ბაზალეთის ტბის გარშემო გაშლილ ველზე ორიათასხუთასი ჰექტარი მიწაა. რევოლუციამდე ამ ადგილის უმეტესი ნაწილი თავად ყარანგოზიშვილებს ეკუთვნოდათ. გაჭირვებაში ვცხოვრობდით მაშინ აქაურები. ჩვენთვის არც საკმარისი მიწა იყო და არც სწავლა-განათლება...

ბაზალეთის ტბასაც გლეხკაცისათვის მხოლოდ უბედურება მოჰქონდა. იგი წურბელებითა და კოღოებით იყო სავსე. ციება მუსრს ავლებდა დიდსა და პატარას. ციებას ამოუწყვეტია სოფელი ამონაანთკარი, რომელიც ტბის მახლობლად ყოფილა გაშენებული...

ბევრი ჭირისა და ვარამის მომსწრეა ძია სანდრო. 1918 წლის ზაფხულში, როცა მენშევიკების ბატონობით გაწამები დუშეთის მაზრის გლეხობა აჯანყდა, ბაზალეთელებმაც იარაღი აისხეს და აჯანყებულთა პირველ რიგებში ჩადგნენ. მათ შორის სანდროც იყო. ცხარე ბრძოლები გადაიტანეს თავისუფლებისათვის მებრძოლებმა, მათი სისხლით მოირწყო ნარეკვავის, წილკნისა და კანჭისქედის მიდამოები. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გლეხებმა ბრძოლით აიღეს სამაზრო ცენტრი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს.

დიდხანს არ გაგრძელებულა აჯანყებულთა სიხარული. გერმანელი იმპერიალისტების ხელშეწყობით მენშევიკებმა სისხლში ჩაახრჩეს აჯანყება, მრავალი გლეხი მხეცურად აწამეს, ხოლო ბაზალეთს არტილერიის ცეცხლი დაუშინეს.

მას შემდეგ გავიდა ისტორიისათვის სულ მცირე დრო. აღარაფერი მოგვაგონებს წყეულ წარსულს, და თუ ძია სანდრო და მისი ტოლები ხანდახან კიდევ იხსენებენ ძველ დროს, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ ახალგაზრდობამ უფრო მეტად შეიგნოს ჩვენი ბედნიერი აწმყოსა და მომავლის სიდიადე.

ბაზალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა ყველაზე დიდი კოლმეურნეობაა დუშეთის რაიონში. მისი სახნავ-სათესი ათასოთხას ჰექტარზეა გადაჭიმული. ბაზალეთელებს აქვთ ვენახები, ბაღები, მეცხოველეობის ოთხი ფერმა.

უკანასკნელ წლებში სოფელმა სრულიად იცვალა სახე. კოლმეურნეთა ლამაზი სახლები შორიდანვე ახარებს ადამიანის გულს. აქ ვეღარ იპოვნით ქართლის ძველი სოფლისათვის დამახასიათებელ მიწურ ქოხებს. ბაზალეთს ახლა ამშვენებს რვაწლიანი სკოლის, კლუბის, კოლმეურნეობის კანტორისა და მრავალი სხვა შენობა. სოფელში არის სამედიცინო პუნქტი, სამკითხველო, ორი დაწყებითი სკოლა, სამკედლო, სავაჭრო მაღაზია.

კოლმეურნეობის კანტორის აივნიდან კარგად ჩანს ბაზალეთის ტბა, რომელიც მზიან დღეებში უზარმაზარ სარკეს გავს. ტბა აღარ არის ციების ბუდე. სამიოდე წლის წინათ ტბაში ხელოვნურად მოაშენეს ჭანარი. ეს თევზი კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს, სწრაფად გამრავლდა. ჭანარმა გაწმინდა ტბა წურბელებისა და სიბინძურისაგან, მოსპო კოღო, წყალი სუფთა და გამჭვირვალე გახადა.

კოლმეურნეები თავდადებით მუშაობენ სოფლის ბუნების გარდასაქმნელად. ტბის ნაპირას გაშენებულია ტყე — მწვანე საფარი ქარისაგან. წელს მარტო „ტყის დღეს" აქ დარგეს აკაციისა და კაკლის ოთხმოცდათორმეტი ათასი ნერგი, მწვანით შეიმოსა კიდევ ჩვიდმეტი ჰექტარი ფართობი.

გაივლის დრო, და ტბის ნაპირას აშრიალდება ახალგაზრდა ტყე, გაიზრდება პურეულის მოსავლიანობა, დამშვენდება აქაურობა და ტყის ჩრდილში დასასვენებლად მოსული მშრომელი დალოცავს ბაზალეთელთა მარჯვენას.

საკოლმეურნეო ცხოვრებამ მშრომელები შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზარდა. ბაზალეთლებს შეგნებული აქვთ, რომ მათი შრომა საკოლმეურნეო სოფლის წინსვლის საფუძველია. სოფელში არ არის კაცი, რომელიც აქტიურად არ მონაწილეობდეს უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. ბრიგადირმა ივანე სუარიშვილმა წელს საუკეთესოდ მოუარა სიმინდის ნათესს და ჰექტარზე 30,6 ცენტნერი სიმინდი მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერისა. ჰექტარზე 26,2 ცენტნერი სიმინდი მოიწია ბრიგადირმა ივანე ვერძეულმა. მაგრამ ყველას აჯობა დიმიტრი პაპიაშვილმა, რომელმაც ჰექტარზე ორმოც ცენტნერზე მეტი სიმინდი აიღო. თავდადებული და უნარიანი შრომით სახელი მოიხვეჭეს კოლმეურნეებმა ნესტორ ბზიკაშვილმა, ნინო თადიაშვილმა, პეტრე შალაშვილმა, ვერა ვერძეულმა, ლიზა ნათელაშვილმა, მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირმა ალექსი ქავთარაძემ, მეფრინველეობის ფერმის გამგემ კალერია თურქაძემ და სხვებმა. ეს ის ადამიანებია, რომლებიც საკოლმეურნეო წყობილებამ აღზარდა და ხალხის საყვარელ ადამიანებად აქცია. ძველ სოფელს არ ყავდა და არც შეიძლებოდა ყოლოდა ასეთი ადამიანები.

კოლმეურნეები თავიანთი ხელმძღვანელის ვასილ პაპიაშვილისა და პარტიული ორგანიზაციის მდივნის დიმიტრი ნათელაშვილის მეთაურობით ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახულ ამოცანას ჩვენი რესპუბლიკის საკუთარი პურით უზრუნველყოფის შესახებ. წელს აქ დიდად გააფართოეს მარცვლეული კულტურების ნათესთა ფართობი, უკვე დათესეს გეგმით გათვალისწინებული 530 ჰექტარი ხორბალი და ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ გეგმის გადამეტებით კიდევ 70 ჰექტარი დათესონ.

მინერალური სასუქების გამოყენება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი პირობაა. კოლმეურნეობამ უკვე შემოზიდა 28 ტონა მინერალური სასუქი და მინდვრად გაიტანა 900 ტონა ნაკელი. აგროტექნიკოსი ნუნუ პაპიაშვილი აგროღონისძიებათა მტკიცედ დაცვის სათავეში დგას. იგიასწავლის მეზობლებს, თუ როგორ გამოიყენონ მინერალური სასუქი, როგორ მოიყვანონ პურის უხვი მოსავალი.

მიმდინარე წელს ბაზალეთში აღინიშნა ახალი, დიდი მოვლენით. კოლმეურნეთა ნებაყოფლობით ერთ კოლმეურნეობად გაერთიანდნენ გრიგოლაანთკარელები და ბაზალეთლები, რამაც საუკეთესო შედეგი გამოიღო. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ადმინისტრაციული ხარჯები სამიათასზე მეტი შრომადღით შემცირდა. კოლმეურნეები დარწმუნდნენ იმ დიდ უპირატესობაში, რასაც მსხვილი მეურნეობა იძლევა.

ბაზალეთში მიწების დამუშავება თითქმის მთლიანად მექანიზებულია. დუშეთის მტს-ის ტრაქტორისტები გარსევან სანაშვილი და გიორგი დურგლიშვილი ამ სოფელში აღიზარდნენ. ისინი დიდი მონდომებით ემსახურებიან მშობლიურ კოლმეურნეობას, გარიჟრაჟიდან დაღამებამდე გუგუნებენ მათი ტრაქტორები ტბის სანაპიროზე და გლეხკაცის გულს სიხარულით ავსებენ.

საკოლმეურნეო სოფელი შენდება და მშვენიერდება. გაჰყავთ ჰიდროელექტროსადგურის გადამცემი ხაზი: მალე ბაზალეთს არაგვის წყლის ძალა გაანათებს. კოლმეურნე მშენებლების სპეციალური ბრიგადა არემონტებს პირუტყვის სადგომებს, წისქვილებს, აშენებს სოფლის გზებს, საკოლმეურნეო აბანოს.

კოლმეურნეობა ზრუნავს მასწავლებლებისათვის. მალე დამთავრდება მასწავლებელთა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლის აგება.

ახლოვდება ზამთარი. ბაზალეთელებმა მოიმარაგეს პირუტყვის საკვების საჭირო მარაგი, გეგმის გადამეტებით ჩადეს 60 ტონა სილოსი...

ბაზალეთი ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის ემზადება. სოფლის ქუჩები ლოზუნგ-პლაკატებითაა მორთული, მოქმედებს აგიტპუნქტი, კოლმეურნეები გულდასმით სწავლობენ საარჩევნო დებულებებს, ყველა ცდილობს არჩევნებს ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდეს.

ასეთია ჩვეულებრივი საკოლმეურნეო სოფლის — ბაზალეთის ბედნიერი აწმყო. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს მიღწეულით დაკმაყოფილება როდი სჩვევიათ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ პაპიაშვილი სიხარულით ლაპარაკობს სოფლის პერსპექტივაზე, მის ხვალინდელ დღეზე.

მომავალ წელს ბაზალეთში გაიხსნება კინოთეატრი, საბავშვო ბაგა და საბავშვო ბაღი. კოლმეურნეობის კანტორის შენობაში მოეწყობა ბრიგადირთა სამუშაო ოთახები, ხოლო შენობის წინ, კეთილმოწყობილ სკვერში დიდი სტალინის მონუმენტს აღმართავენ. ბაზალეთის ტბაზე კოლმეურნეობა გახსნის მეფრინველეობის ფერმას, გაიხსნება მეძროხეობის სანიმუშო ფერმაც. უფრო გამშვენიერდება სოფლის ქუჩები, აშენდება ელექტროწისქვილი, მექანიზებულ იქნება პირუტყვის კვება, ერთნახევარჯერ გაიზრდება ხორბლისა და სიმინდის მოსავალი, ათვისებულ იქნება ასამდე ჰექტარი ახალი მიწა.

დიდი ოქტომბერი ასე უცვლის სახეს საკოლმეურნეო სოფელს, ასე განხორციელდა ჩვენი ხალხის საუკუნობრივი ოცნება, რომელსაც მრავალი ათეული წლის წინათ შთაგონებით უმღეროდა დიდი ილია.

ა. თომაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

გატეხილ ყამირზე

ძეძვნარში შემთხვევით მოხვედრილმა ხორბლის თესლმა ფესვი გაიდგა. მცირე ნაკვეთზე ტანი აიყარა ჯეჯილმა. გავიდნენ დღეები, კვირეები...

სამუშაოდან დაბრუნებული კოლმეურნეთა ჯგუფი ზედ წაადგა ჩამწიფებულ, თავდახრილ, მტკავლიან თავთავებს.

— ღონიერი და ბარაქიანია ეს მიწა — გულნატკენი ამბობდა ერთი კოლმეურნე — მაგრამ ამ ძეძვნარს რა მოერევა!

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ვეებერთელა ტერიტორია, რომლის საერთო ფართობი 100 ჰექტარს აღწევს, ბუჩქებით იყო დაფარული. ეს ადგილი არც ტყედ ვარგოდა, არც საძოვრად. ერთმანეთში გადახლართული ფესვები არც სახნის-საკვეთს აძლევდნენ გზას.

ძველთაგანვე ასე უქმად და გამოუყენებლად იყო ეს მიწა. მხოლოდ ქარი დათარეშობდა თავისუფლად ძეძვნარში. შნოსა და ლაზათს უკარგავდა ეს ადგილი საკოლმეურნეო სოფელს.

დიდი სტალინის მითითება საკუთარი წარმოების პურით საქართველოს უზრუნველყოფის შესახებ თავის საბრძოლო ამოცანად მიიჩნია საკოლმეურნეო სოფელმა — სტალინირის რაიონის სოფელ ხეთაგუროვის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობამ.

— მექანიზატორებთან დავამყაროთ მჭიდრო ურთიერთობა!

— საერთო ძალით გავტეხოთ ყამირს!

— ბუნების სიჯიუტეზე გავიმარჯვებთ! — ამბობდნენ ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახული კეთილშობილური ამოცანით აღფრთოვანებული ხეთაგუროველები.

მალე სოფელში მოვიდა სტალინირის მტს-ის მოწინავე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი მიხეილ ჭოველიძე. ხეთაგუროველ კოლმეურნეებთან ერთად იგი წავიდა სოფლის იმ ადგილისაკენ, სადაც მომავალში შეუპოვარი შრომა უნდა გადაეხადა. გულდასმით იქნა შესწავლილი ადგილმდებარეობა.

ეს იყო მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

მიხეილ ჭოველიძემ ხეთაგუროველთა მინდვრებში მოიყვანა მძლავრი ტრაქტორები. თავიდანვე ბრძოლას ჰგავდა მექანიზატორების მუშაობა. დღედაღამ ისმოდა ბუჩქნარებში მოტორების გუგუნი. სპეციალური ბასრი გუთნები მიარღვევდნენ ყორნისფერ მიწას, ძირიანად გლეჯდნენ ეკლნარს. მექანიზატორებს შველოდნენ კოლმეურნეები. მათ ერთხელ კიდევ გულის სიღრმემდე იგრძნეს სიხარული იმ მზრუნველობის გამო, რომელსაც საბჭოთა მთავრობა, ბოლშევიკების პარტია, დიდი სტალინი იჩენენ კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობისათვის.

მექანიზატორები შესანიშნავად მუშაობდნენ. ხეთაგუროველთა შორის სიყვარული დაიმსახურა ტრაქტორისტმა ნიკოლოზ შპუკამ. მასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ტრაქტორისტი ვლადიმერ ბიგულაევიც ხშირად იკლებდა ძილს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე ჩაეყენებინა ახალი მიწა სოფლის სამსახურში.

ათვისებული ჰექტარი ჰექტარს ემატებოდა. იზრდებოდა შავი ველი. ილეოდა უნაყოფო ბუჩქნარი. მინდორშივე მცირე ხნით წათვლემდნენ ტრაქტორისტები და განთიადზე მსხვილი სამანქანო ტექნიკა ისევ ებრძოდა ყამირს, სძლევდა მის სიჯიუტეს.

მოკლე ხნის განმავლობაში ხეთაგუროველმა კოლმეურნეებმა სტალინირელი მექანიზატორების დახმარებით 80 ჰექტარი ყამირი გატეხეს. აქედან ახლა 64 ჰექტარზე უკვე დათესეს შემოდგომის პურეული.

კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადებს, რომლებმაც პირველად დათესეს ახალ მიწაზე უძვირფასესი კულტურა — შემოდგომის პურეული — ხელმძღვანელობენ ხარიტონ ბიგულაევი, სანო გაბარაევი, მიხეილ ხუბაევი. ხეთაგუროველებმა თავიანთი სახელის საქმედ მიიჩნიეს ახლად ათვისებულ ფართობში მუშაობა. ისინი ჩაბმული იყვნენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ღირსეულადაც შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება.

ეს პირველი ნაბიჯებია გადადგმული დიდი ამოცანის შესასრულებლად. ხეთაგუროველები კვლავ სწავლობენ ახალ შესაძლებლობას ხორბლის ნათესების გასაფართოებლად.

შრომისმოყვარე ადამიანის მარჯვენა კვლავაც გატეხს ყამირს იმისათვის, რომ დედასამშობლო უფრო გაძლიერდეს.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი



ბუნებას თვალწარმტაცი სილამაზით დაუჯილდოებია ზღვისპირეთის ეს არე-მიდამო. აჭარა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა. ვამბობთ, ბუნებას დაუჯილდოებიაო, მაგრამ განა უშრომლად ქცეულა ბაღნარად იგი. კლიმატის თუ ნიადაგის ხელსაყრელობის იმედით გულხელი როდი დაუკრეფიათ ამ კუთხის ადამიანებს. შრომამ, კოლექტიურმა, სოციალისტურმა შრომამ ააყვავა ეს ველმინდვრები, შემოსა იგი მარადმწვანე ციტრუსებით, მოხატა ჩაის პლანტაციებით, ჩააყენა იგი ადამიანის კეთილდღეობის სამსახურში. იგივე მიწა იყო რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აბეჩავებდა აჭარელ გლეხს, იმავე მიწას ერთოდა გლეხის ოფლი, მაგრამ ამაოდ!—სიღარიბეს იგი თავს ვერ აღწევდა. ათეულ წლებს უკან დარჩა ის მძიმე ყოფა.

დღეს აქ შრომას ფასი მიეცა. კოლმეურნე მარტო ფიზიკურად როდი შრომობს — იგი მცოდნე, აგროტექნიკას ღრმად დაუფლებული, გამოცდილი ადამიანია. მცირეს როდი სჯერდება იგი მიწისაგან. მივიღოთ მიწისაგან ყველაფერი, რისი მოცემაც მას შეუძლია, — ასეთია თვითეული კოლმეურნის დევიზი.

ამ მაღალი შეგნებით ხნავს და თესავს კოლმეურნე, ტრიალებს ჩაის პლანტაციაში, შრომობს ციტრუსების ბაღნარში. ასეთმა შრომამ გადააქცია მრავალი კოლმეურნეობა მილიონერად, მისი წევრები — კულტურულ და შეძლებულ, ბედნიერ ადამიანებად.

ერთ-ერთი ასეთი კოლმეურნეობაა სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ქობულეთის რაიონში.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გადაიღო ზოგიერთი დამახასიათებელი მომენტი ამ კოლმეურნეობისა და მისი მოწინავე ადამიანების მუშაობიდან, ცხოვრებიდან. ამ სურათებში ასახულია ერთი ოჯახის ცხოვრება.

პირველ სურათზე თქვენ ხედავთ ამ ოჯახის ბედნიერ დედას—კოლმეურნე ასმათ ჯიჯავაძეს. იგი დინჯად, დარწმუნებით, თავისი საქმის ღრმა სიყვარულით ჰყვება მუშაობის საკუთარ გამოცდილებას. მას ინტერესით უსმენენ კოლმეურნეები. სოციალისტური შრომის გმირ ქალთან ეს შეხვედრა ხდება კოლმეურნეობის გამგეობის ელექტროშუქით გაჩირაღდნებულ ნათელ, სუფთა დარბაზში. ასმათი მოუთხრობს თანასოფლელებს, თუ როგორ აღწევს იგი წარმატებებს ჩაის უხვი მოსავლის მიღებაში.

ჭეშმარიტად ბედნიერია ასმათ ჯიჯავაძის ოჯახი. მეორე სურათზე თქვენ ხედავთ ასმათ ჯიჯავაძის ოჯახს შრომაში, ჩაის პლანტაციაში. ამ დღესაც ჩაის კრეფის მაღალი რეკორდი დაამყარა სახელოვანი დედის აღზრდილმა ქალიშვილმა გული ჯიჯავაძემ. — კომკავშირელმა, სოციალისტური შრომის გმირმა. აი მასთან მოვიდნენ: მამა — დავით ჯიჯავაძე, ლენინის ორდენოსანი და დედა—სოციალისტური შრომის გმირი ასმათ ჯიჯავაძე. დედმამა ამოწმებს საყვარელი შვილის მიერ მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლის ხარისხს.

ვრცელია სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფართობი. თვალმიუწვდომელია მისი ზღვად გადაშლილი ჩაის პლანტაციები. შორსაა ჯიჯავაძეთა ბინა პლანტაციიდან — რვა კილომეტრითაა იგი დაშორებული. მაგრამ ბედნიერი, შეძლებული ოჯახის წევრები ამ მანძილს სულ რამდენიმე წუთში ფარავენ. თქვენ ამ მესამე სურათზე ხედავთ: დავითი და ასმათ ჯიჯავაძეები ეს-ეს არის გადმოვიდნენ მანქანიდან. კაბინის კარი გააღო და გადმოდის გულიკო ჯიჯავაძე. მაგრამ შოფერი სადღაა?—შოფერს ნუ ეძებთ — საკუთარ მანქანას „პობედას" თვითონ გულიკო შესანიშნავად მართავს.

პლანტაციაში დღიური შრომის შემდეგ კულტურულად ისვენებს ოჯახი. დავითი ახალ გაზეთს კითხულობს. მას ინტერესით უსმენენ: (მარცხნიდან მარჯვნივ) უმცროსი გოგონა — პიონერი, მეხუთე კლასელი მერი, გულიკო, რძალი — სოციალისტური შრომის გმირი აიშე ჯიჯავაძე და ცოლი ასმათი. კედელზე ნათესავთა სურათებს შორის, თქვენ ხედავთ ყველაზე ახლობელი, უსაყვარლესი ადამიანების ლენინისა და სტალინის პორტრეტებს.

კეთილმოწყობილია სოფელი ხუცუბანი. აი კოლმეურნეთა საყვარელი ადგილი—სოფლის კლუბი. სურათზე ხედავთ: — კლუბის შენობიდან გამოვიდნენ გულიკო, ასმათ და დავით ჯიჯავაძეები.

ეს ფოტოსურათები გადმოგვცემენ იმ ბედნიერი შრომისა და ცხოვრების შტრიხებს, რომლითაც ცხოვრობენ სოფელი ხუცუბანი და მისი ადამიანები.

ახლა, ამ დიადი ზეიმის დღეებში, ეს ოჯახი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ასეთი ბედნიერი, საამური ცხოვრებისათვის ერთხელ კიდევ მადლობის პირველ სიტყვას უძღვნის მშობლიურ სტალინს!

ფოტო რ. აკოფოვისა

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲨᲘ

მშვიდობისათვის ბრძოლა განუყოფელია საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანი ისტორიისაგან. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორე დღესვე საბჭოების II ყრილობამ ლენინის წინადადებით მიიღო დეკრეტი ზავის შესახებ და მოწოდებით მიმართა მეომარ ქვეყნებს—შეეწყვიტათ სისხლისმღვრელი ომი, ბოლომდე მიეყვანათ სამართლიანი ზავის საქმე.

ოქტომბრის რევოლუციით შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო ყოველთვის განუხრელად იბრძოდა და იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის. საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადი დიდი სტალინი ამბობს:

„ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელია. იგი არის მშვიდობის შენარჩუნებისა და ყველა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერების პოლიტიკა. სსრ კავშირს აზრად არა აქვს დაემუქროს ვინმე და მით უმეტეს თავს დაესხას ვინმე. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობას და ვიცავთ მშვიდობის საქმეს".

მილიონობით უბრალო ადამიანს მსოფლიოს ყველა კუთხეში იმიტომ უყვარს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირმშო — დიდი საბჭოთა კავშირი, რომ იგი იცავს მშვიდობას, მოითხოვს ატომური იარაღის აკრძალვას, ამხილებს ახალი ომის გამჩაღებლებს.

კორეელი ხალხის მიმართ ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიულმა ომმა ცხადყო, თუ ვისთვის არის სასარგებლო ეს ომები. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების 450 დიდი მონოპოლისტური გაერთიანების შემოსავალი მიმდინარე წლის II კვარტალში გასული წლის იმავე კვარტალთან შედარებით 43 პროცენტით გადიდდა. ამავე დროს სულ უფრო უარესდება მშრომელთა ცხოვრების პირობები. ამჟამად შეერთებულ შტატებში 18 მილიონამდე უმუშევარი და ნახევრად უმუშევარია.

ამას წინათ სან-ფრანცისკოში სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა, რომელმაც განაცხადა:

„ჩვენ უნდა გავადიდოთ წარმოება სამხედრო მიზნებისათვის. უნდა გავადიდოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების —არმიის, ფლოტის და ავიაციის ძლიერება. სულ უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი რესურსები სამხედრო მიზნებისათვის და სულ უფრო ნაკლებად — სამოქალაქო მოხმარებისათვის. ყოველივე ეს შექმნის სიძნელეებს და მოითხოვს მრავალ მსხვერპლს".

აქედან ცხადია, რომ ამერიკელ მშრომელთა მდგომარეობა მომავალში უფრო მეტად გაუარესდება.

ამერიკელი იმპერიალისტები აგრესიის მზადებიდან გადავიდნენ აშკარა აგრესიაზე, დაპყრობითი ომი გააჩაღეს კორეელი ხალხის წინააღმდეგ და ისწრაფვიან უფრო გააფართოონ საომარი მოქმედება. ისინი თავხედურად პარპაშებენ ფორმოზაზე, პროვოკაციულად თავს ესხმიან ჩინეთის ტერიტორიას, ეხმარებიან ფრანგ კოლონიზატორებს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომში, აქეზებენ ომს მალაიაში, ლამობენ აზიის ხალხთა დამონებას.

მაგრამ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ აზიის ხალხები ჯეროვან პასუხს გასცემენ ამერიკელ იმპერიალისტებს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენლაიმ განაცხადა, რომ „ჩინელ ხალხს მხურვალედ უყვარს მშვიდობა, მაგრამ მას არასოდეს არ შეშინებია და არასოდეს არ შეეშინდება პასუხი გასცეს აგრესორს, რათა მშვიდობა დაიცვას".

ახალი ომის გამჩაღებლები დასავლეთშიც გამალებით ემზადებიან, აძლიერებენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკს, აპირებენ ამ აგრესიულ ბლოკში დასავლეთ გერმანიის შეყვანას. სექტემბერში შედგა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ნიუ-იორკის საიდუმლო თათბირი. თათბირის ერთ-ერთი ძირითადი გადაწყვეტილება იყო შეთანხმება გერმანიის არმიის აღდგენისა და დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის საკითხებზე, რასაც უნდა მოჰყვეს დასავლეთ გერმანიის სრულუფლებიან წევრად შეყვანა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში.

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკამ ერთხელ კიდევ ფართო გამოხატულება პოვა რვა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების პრაღის თათბირზე მიმდინარე წლის 20-21 ოქტომბერს. სსრ კავშირის, ალბანეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებას, რომელიც მიზნად ისახავს პირობების უზრუნველყოფას პოტსდამის შეთანხმების საფუძველზე გერმანიის ერთიანი მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად, ფართოდ გამოეხმაურა მთელი პროგრესული კაცობრიობა. ყველა ქვეყნის მშრომელები იწონებენ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების მიზნით დასახულ ღონისძიებებს.

ხალხი შეიარაღებისა და ომების წინააღმდეგია, რადგან შეიარაღება ომს იწვევს, ხოლო ომი—ხალხის გაჩანაგებას. ცნობილი მეცნიერი აინშტაინი შეშფოთებულია იმის გამო, რომ „ახლა მთელი სიცოცხლის მოსპობა დედამიწაზე ტექნიკურად უკვე შესაძლებელია". ომის მთელ საშინელებას ითვალისწინებს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გენერალური მდივანი მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე, რომელიც აცხადებს: „ცივილიზაციის ინტერესები მოითხოვენ მშვიდობის შენარჩუნებას... მოითხოვენ, რომ კონფლიქტების გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით ხდებოდეს".

მშვიდობის დასაცავად მძლავრად გაისმის საბჭოთა კავშირის დელეგაციის ხმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის V სესიაზე. სესიის გახსნის მეორე დღესვე, მიმდინარე წლის 20 სექტემბერს, ამხ. ა. ვიშინსკიმ გამოაქვეყნა დეკლარაცია ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისა და ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების შესახებ. დეკლარაცია მოითხოვს ახალი ომის პროპაგანდის აკრძალვას და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას, ატომური იარაღის აკრძალვას და ატომის ენერგიაზე სასტიკი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას, იმ მთავრობის სამხედრო დამნაშავედ გამოცხადებას, რომელიც პირველი იხმარს ატომურ იარაღს ან ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებას, ხუთი დიდი სახელმწიფოს პაქტის დადებას მშვიდობის გასამტკიცებლად, დიდი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალთა ერთი მესამედით შემცირებას.

საბჭოთა დელეგაციის ქმედით წინადადებებს სესიაზე დაუპირისპირეს ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ შემუშავებული რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევას 24 საათში უშიშროების საბჭოს ყოველი 7 წევრის მოთხოვნით, მეთვალყურე კომისიის შექმნას, შეიარაღებული ძალების გადაცემას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განკარგულებაში, „კოლექტიურ ღონისძიებათა" კომიტეტის შექმნას, რომელიც დაექვემდებარება ასამბლეას და ფაქტიურად შეცვლის უშიშროების საბჭოს.

ამერიკელ იმპერიალისტებს უნდათ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავიანთი ბატონობის განმტკიცების იარაღად და აგრესიული ომების გამართლების საშუალებად გამოიყენონ.

მაგრამ ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას ეწევა უძლეველ ძალად შემჭიდროებული მშვიდობის ფრონტი, რომელსაც საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს.

დღითი დღე იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მოითხოვენ ატომური ბომბის აკრძალვას, გმობენ ახალი ომის გამჩაღებლებს. სტოკჰოლმის სესიის მოწოდებას უკვე ხელი მოაწერა ნახევარ მილიარდზე მეტმა კაცმა. სწრაფად დამთავრდა ამ მოწოდებაზე ხელმოწერა ჩვენს ქვეყანაში. 31 დღეში მოწოდებას ხელი მოაწერა 115 მილიონზე მეტმა საბჭოთა მოქალაქემ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოწოდებას ხელი მოაწერა 204 მილიონზე მეტმა კაცმა. ხელმოწერა წარმატებით გრძელდება.

მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები ემზადებიან მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესისათვის, რომელიც 13 ნოემბერს გაიხსნება შეფილდში (ინგლისი). კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 2.100 დელეგატი მსოფლიოს ყველა კუთხიდან. კონგრესი გამოხატავს ხალხის ნებას, ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას.

ამჟამად მთელ რიგ ქვეყნებში იმართება მშვიდობის მომხრეთა კონფერენციები, სადაც ირჩევენ დელეგატებს მეორე მსოფლიო კონგრესზე გასაგზავნად და აძლევენ მათ განაწესს.

დიდი მოვლენა იყო მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენცია, რომელიც მოსკოვში გაიმართა 16-18 ოქტომბერს. კონფერენციას დაესწრო 40 ეროვნების 1.172 დელეგატი, მათ შორის 491 ქალი. მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციის ტრიბუნიდან გაისმოდა მშვიდობისათვის მებრძოლი საბჭოთა ადამიანებისა და სტუმრების აღმაფრთოვანებელი სიტყვები.

მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის თავმჯდომარემ კროუტერმა განაცხადა: „დღეს ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იბრძვიან თავისუფლებისათვის მალაიელი, ვიეტნამელი და კორეელი ხალხები, ხვალ დავინახავთ შესანიშნავ მოვლენას: ბრიტანელი ხალხი ბრძოლას დაიწყებს თავისი დამოუკიდებლობისათვის, ამერიკელი ბანკირებისა და მილიტარისტების ბატონობის წინააღმდეგ".

26 პატრიოტის აღმზრდელმა ორდენოსანმა დედამ დარია ნემოვამ თქვა:

— როცა კონფერენციაზე წამოსასვლელად ვემზადებოდი, ჩემმა შვილიშვილებმა, შვილებმა და რძლებმა მითხრეს: „ილაპარაკე, დედა, ყველა ჩვენგანის მაგიერ!"... რასაკვირველია მე ცუდი ორატორი ვარ, მაგრამ დღეს, როცა გამხეცებული ამერიკელები ბომბს აყრიან ქალებს და ბავშვებს, ანადგურებენ კორეის ქალაქებსა და სოფლებს, — არ შემიძლია ვდუმდე! ჩემი გული იკუმშება ტკივილითა და მწუხარებით... ჩემი სული აღვსილია ზიზღითა და მრისხანებით ამერიკელი მკვლელების მიმართ.

ვინ დაივიწყებს პატრიოტი ქალის, ლვოვის ოლქის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის უ. ბაშტიკის სიტყვებს:

— მე ვხედავ კორეელ დედას, რომელიც გულში იკრავს ამერიკული ბომბით დასახიჩრებულ ბავშვს. მე ვხედავ ულუკმაპუროდ და უსახლკაროდ დარჩენილ ვიეტნამელ ბავშვებს. მეც დედა ვარ და არ შემიძლია გავჩუმდე.

— წყევლა და კრულვა ამერიკელ ყაჩაღებს! მშვიდობა მსოფლიოს! — ვამბობ მე.

მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციამ აირჩია დელეგატები მეორე მსოფლიო კონგრესზე გასაგზავნად, შეიმუშავა განაწესი და მიიღო მიმართვა ამხანაგ სტალინისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

„მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, იმიტომ რომ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა უძლეველია — იგი დღითი დღე იზრდება და მტკიცდება.

მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, იმიტომ, რომ ამ მოძრაობას სათავეში უდგას შეუდრეკელი საბჭოთა ხალხი, მშვიდობის ბურჯი მთელ მსოფლიოში.

მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, იმიტომ, რომ ამ ბრძოლის დროშაა სტალინი!"

მშვიდობისათვის მებრძოლი საბჭოთა ხალხი შესანიშნავი წარმატებებით ხვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავს. საამაყოა ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდის მაჩვენებლები. სახალხო მეურნეობის შეუჩერებელი აღმავლობა დამახასიათებელია მხოლოდ სოციალისტური საზოგადოებისათვის. იგი უცხოა კაპიტალისტური ქვეყნებისათვის.

ჩვენ ძლიერი ვართ, და მტკიცედ გვწამს, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე.

როცა ამერიკელი ჯარისკაცები სისხლს ღვრიან ამერიკიდან 10.000 კილომეტრის დაშორებით, ხოლო ამერიკელი მონოპოლისტები განუწყვეტლივ ადიდებენ სამხედრო ხარჯებს, საბჭოთა მთავრობა ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობათა დიად გეგმებს.

ახლა მთელი საბჭოთა ხალხი წარმატებით ემზადება ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის და ენერგიული შრომით აძლიერებს ღონისძიებებს მშვიდობის დასაცავად.

საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ მშვიდობის ძალები აურაცხელია. მშვიდობა ძლევს ომს. გამარჯვება მშვიდობის ბანაკს დარჩება. ამის გარანტიაა ის, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდშია ჩვენი მძლავრი ქვეყანა, მშვიდობის ძალებს ხელმძღვანელობს და აღაფრთოვანებს დიდი სტალინი.

აკ. ჩავლეიშვილი

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

1 ნოემბრის დღის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 2 ნოემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის 1 ნოემბრის დღის პლენარულ სხდომაზე დაიწყო განხილვა საკითხისა, რომელსაც დღის წესრიგში ეწოდება „გაერთიანებული მოქმედება მშვიდობის სასარგებლოდ". როგორც უკვე ვიუწყებოდით, პოლიტიკური კომიტეტის სხდომებზე ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ ამ საკითხზე მიღებულ იქნა რეზოლუციის სამი პროექტი: შვიდი სახელმწიფოს (კანადა, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ფილიპინები, საფრანგეთი და ურუგვაი) დელეგაციების რეზოლუციის ერთობლივი პროექტი, საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი და ერაყისა და სირიის დელეგაციების მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი. როგორც ცნობილია, შვიდი დელეგაციის რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებს უშიშროების საბჭოს რწმუნებათა შეკვეცას და უხეშად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. პოლიტიკური კომიტეტის მიერ მიღებული საბჭოთა კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტი შეიცავს რეკომენდაციებს უშიშროების საბჭოსადმი—გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების განსახორციელებლად მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების მიერ უშიშროების საბჭოს განკარგულებაში შეიარაღებული ძალების გადაცემას. სირიისა და ერაყის რეზოლუციის პროექტი შეიცავს რეკომენდაციებს, რომ უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები შეიკრიბონ და განიხილონ ყველა საკითხი, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობას.

პოლიტიკური კომიტეტის სხდომაზე უარყოფილ იქნა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი, რომელიც უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს ურჩევს მიიღონ ღონისძიებანი, რათა უსათუოდ განხორციელებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 106-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს კონსულტაციას მათ შორის.

დღის სხდომაზე მას შემდეგ, რაც მომხსენებელმა ტორსმა (ისლანდია) მოკლე ინფორმაცია გააკეთა ამ საკითხის გამო პოლიტიკური კომიტეტის სხდომებზე დისკუსიის მსვლელობის შესახებ, დაიწყო დისკუსია რეზოლუციის ყველა ზემოჩამოთვლილი პროექტის გამო.

პირველი გამოვიდა ურუგვაის წარმომადგენელი, რომელმაც მოუწოდა დელეგატებს მიიღონ შვიდი ქვეყნის დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტი.

ამის შემდეგ „შვიდთა" რეზოლუციის პროექტის დასასაბუთებლად გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი დალესი. ლაპარაკობდა რა რეზოლუციის პროექტში ჩამოყალიბებულ პრინციპებზე, დალესი ბოროტგანზრახულად ამახინჯებდა საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, რათა ცილი დაეწამებინა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკისათვის. იგი ცდილობდა შვიდი დელეგაციის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის რეზოლუციის პროექტი წარმოედგინა როგორც „მშვიდობისათვის ბრძოლის პროგრამა". ამასთან დალესმა არაფერი არ თქვა იმაზე, რომ ეს „პროგრამა" ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, როგორც ეს პოლიტიკური კომიტეტის სხდომებზე გამოააშკარავეს სსრ კავშირის დელეგაციამ და მთელმა რიგმა სხვა დელეგაციებმა. ილაპარაკა რა პოლიტიკური კომიტეტის მიერ მიღებულ ერაყისა და სირიის რეზოლუციის პროექტზე, დალესმა თქვა, რომ დიდი ილუზიები არ უნდა შეიქმნას იმ ღონისძიებათა ეფექტიანობის შესახებ, რომელთაც ეს რეზოლუცია შეიცავს, ვინაიდან, მისი აზრით, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკების შესაძლებლობა „მეტად შეზღუდულია". ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ყველა დელეგაციას მოუწოდა მიიღონ „შვიდთა" რეზოლუციის პროექტი.

დღის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ფილიპინების, საბერძნეთის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები. ისინი ცდილობდნენ მიეჩქმალათ ის ძირითადი ფაქტი, რომ „შვიდთა" რეზოლუციის პროექტის წინადადებანი მიმართულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების აშკარა და უხეში დარღვევისაკენ, გვერდს უვლიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს პრინციპს—უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის ერთხმიანობას. მათ განაცხადეს, რომ მათი დელეგაციები ხმას მისცემენ შვიდი სახელმწიფოს დელეგაციების მიერ წარდგენილ რეზოლუციის პროექტს.

დღის სხდომის ბოლოს გამოვიდა პოლონეთის წარმომადგენელი. მან მკაცრად გააკრიტიკა „შვიდთა" რეზოლუციის პროექტის ის ნაწილები, რომლებიც მიმართულია უშიშროების საბჭოს რწმუნებათა შეკვეცისაკენ და არღვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. მან მოუწოდა დელეგატებს მიიღონ საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუციების პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესებას და საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებას.

პოლონეთის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ სხდომა დაიხურა.

ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 3 ნოემბრის ცნობაში ნათქვამია, რომ ფრონტის ყველა უბანზე სახალხო არმიის ნაწილები აქტიურ ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელთა და სამხრეთკორეელთა ჯარების წინააღმდეგ.

ანჯუს (ანსიუ) დასავლეთით მდებარე რაიონში სახალხო არმიის ნაწილები წარმატებით მიიწევენ წინ. ანჯუს (ანსიუ) ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით სახალხო არმიის მებრძოლ ნაწილებმა მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მიაყენეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ამ რაიონში მომხდარ ბრძოლებში არასრული ცნობით სახალხო არმიის ნაწილებმა მოკლეს და დაჭრეს მოწინააღმდეგის 1.500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია 2.000-ზე მეტი კაცი. წამოღებულია 150-ზე მეტი სხვადასხვა კალიბრის ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 300-მდე ავტომანქანა და სხვა სამხედრო ქონება.

აღმოსავლეთ სანაპიროზე ბრძოლებია ხამხინის (კანკო) ჩრდილოეთით მდებარე რაიონში და სინგძინის რაიონში.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან გადმოგვცემს, ვიეტნამის სახალხო არმიის შეტევის შედეგად საფრანგეთის ჯარებმა დატოვეს დიდი სამხედრო საგუშაგო ლაო-კაი (ჩრდილო-დასავლეთი ვიეტნამი).

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝ

პეკინი, 3 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს, ამას წინათ განთავისუფლებულ ქალაქ კაო-ბანგში 24 ოქტომბერს გაიმართა გრანდიოზული დღესასწაული ვიეტნამის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრონტზე ვიეტნამის სახალხო არმიის მიერ უკანასკნელ ხანს მოპოვებულ გამარჯვებათა აღსანიშნავად.

ათეულ ათასობით კაცმა მოიყარა თავი კაო-ბანგისა და ლანგ-სონის პროვინციების სხვადასხვა რაიონიდან, რათა მონაწილეობა მიეღოთ დღესასწაულში.

ვიეტნამის სახალხო არმიის მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა აღსანიშნავად გამართულ მასობრივ მიტინგს დაესწრნენ: ვიეტნამის სახალხო არმიის მთავარსარდალი გენერალი ვო ნგუენ ზიაპი, მთავრობის წევრები, სახალხო არმიისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ჯარების პარადი მიიღო გენერალმა ვო ნგუენ ზიაპმა. იუსტიციის მინისტრმა ვუ დინ ხომ წაიკითხა პრეზიდენტ ხო ში მინის მისალოცი წერილი სახალხო არმიისა და მოსახლეობისადმი.

გენერალმა ვო ნგუენ ზიაპმა ორდენებით დააჯილდოვა სახალხო არმიის ნაწილები, რომლებმაც ბრძოლაში თავი გამოიჩინეს.

ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲯᲚᲘᲡᲨᲘ

თეირანი, 3 ნოემბერი. (საკდესი). ირანის მეჯლისის ნავთის საკითხთა კომისიამ 1 ნოემბერს მოსადიკის თავმჯდომარეობით განიხილა ზოგიერთი პუნქტი „დამატებითი შეთანხმებისა" ნავთის შესახებ, რომელსაც შარშან ხელი მოაწერეს ირანის მთავრობამ და ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის წარმომადგენლებმა.

გაზეთ „ბახტარე ემრუზის" ცნობით, ახლად დანიშნული ფინანსთა მინისტრი ფორუჰარი, რომელიც კომისიის სხდომას დაესწრო, იცავდა „დამატებით შეთანხმებას", მაშინ როცა კომისიის ზოგიერთი წევრი მოითხოვდა მის გაუქმებას. გაზეთი „ტოლუ", აგრეთვე ყოველკვირეული „კავიანი" აღნიშნავენ, რომ მეჯლისში „ჰარბობს უარყოფითი დამოკიდებულება „დამატებითი შეთანხმების" დადებისადმი".

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „დარია" აღნიშნავს, რომ „უკანასკნელ დღეებში დიდ აქტივობას იჩენენ ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის აგენტები". კერძოდ, როგორც გაზეთი „დარია" აღნიშნავს, ინგლის-ირანის ნავთის კომპანიამ ნება დართო თავის აგენტებს თეირანში „არ მოერიდონ დიდი ფულადი თანხების მიცემას მეჯლისის დეპუტატებისათვის", რათა მათ ხმა მისცენ „დამატებითი შეთანხმების" დამტკიცებას.

გაზეთ „დადის" აზრით, ლონდონის გაზეთ „ტაიმსის" მიერ ირანის მეჯლისის წინააღმდეგ მიმართული სტატიის გამოქვეყნების მიზანია „დააშინოს" ირანის მეჯლისის დეპუტატები და აიძულოს ისინი მეტი დამთმობლობა გამოიჩინონ ინგლის-ირანის ნავთის კომპანიასთან „დამატებითი შეთანხმების" დამტკიცების საკითხში.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡᲐ ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

ნიუ-იორკი, 3 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა საელჩომ ამერიკის შეერთებულ შტატებში პრესის წარმომადგენლებს გადასცა შორეულ აღმოსავლეთის კომისიის სხდომაზე სსრ კავშირის წარმომადგენლის ბაზიკინის მიერ გაკეთებული განცხადება. განცხადებაში აღნიშნულია, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ამერიკის შეერთებულ შტატებს ბრალად სდებს იაპონიის ჯარების გამოყენებას კორეაში. იაპონიის ჯარების გამოყენება, ნათქვამია განცხადებაში, პოტსდამის დეკლარაციის, აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთის კომისიის გადაწყვეტილებათა უხეში დარღვევაა.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡᲐ

№ 14

1950 წლის 4 ნოემბერი ქალაქი თბილისი

1950 წლის 7 ნოემბერს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 33-ე წლისთავის დღეს, ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე ინიშნება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

პარადს მიიღებს არმიის გენერალი ამხ. **ანტონოვი.**

პარადს სარდლობს გენერალ-ლეიტენანტი ამხ. **ტარასოვი.**

პარადის დასაწყისი 9.00 საათზე მოსკოვის დროით. პარადზე გამოყვანილ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები განსაკუთრებული გეგმით.

ტანსაცმლის ფორმა **საპარადოა.**

ბერიას სახელობის მოედანზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 8 საათსა და 30 წუთზე.

პარადის დროის წესრიგის დაცვის ხელმძღვანელობას ვაკისრებ თბილისის გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ ამხ. **ქუდიძესა** და ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსს პოდპოლკოვნიკ ამხ. **ჭელიძეს.**

თბილისის გარნიზონის უფროსი გენერალ-მაიორი ᲘᲣᲨᲙᲔᲕᲘᲩᲘ

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსანდრე ივანეს-ძე სავჩენკო დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ბირმაში.

ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲨᲘ

დედაქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ყოველდღე უხვად შემოაქვთ პროდუქტები.

გუშინ ორჯონიკიძის რაიონის საკოლმეურნეო (ვერის) ბაზარში ორგანიზებულად მოვიდნენ ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობათა წარმომადგენლები. მათ 37 ავტომანქანით ჩამოიტანეს 57 ტონა კარტოფილი, 7 ტონა ხორცი, 8 ტონა ყველი და სხვ. ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზარში გარდაბნის რაიონის კოლმეურნეობებმა 300.000 მანეთის სხვადასხვა პროდუქტი შემოზიდეს. ასევე ორგანიზებულად მოვიდნენ საკოლმეურნეო ბაზრებში გორის, მცხეთის, ზესტაფონის, ცხაკაიას და სხვა რაიონებიდანაც.

შესამჩნევად შემცირდა პროდუქტების ფასები. მაგალითად, გუშინ სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში ხორცი 25 პროცენტის ფასდაკლებით იყიდებოდა, ვიდრე წინადღეებში, ბოსტნეული 20 პროცენტით გაიაფდა და სხვ.

დედაქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებს ბაზრობაზე კვლავ დიდი რაოდენობით გამოაქვთ სამრეწველო საქონელი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

3 ნოემბერს მეშვიდე ტურში გიორგაძემ მოუგო გაგუას, ბუსლაევმა — შიშოვს, ქარსელაძე-გიეი გამრეკელს, ბახტაძე-ინწკირველის პარტია ყაიმით დამთავრდა. სხვა პარტიები არ დამთავრებულა.

მეშვიდე ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერია ოსტატობის კანდიდატი ვახტანგ ქარსელაძე, მას აქვს 4½ ქულა.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ბათუმი. (საქ. კორ.). ბათუმის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ილო მოსაშვილის პიესა „მისი ვარსკვლავი". სპექტაკლი დადგა გ. მრავლაძემ, მუსიკა ეკუთვნის ა. ფარცხალაძეს, მხატვარია დ. იმნაიშვილი.

სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ შ. ინწკირველი, ნ. თეთრაძე, ხ. მეგრელიძე, მ. ხინაკაძე, ვ. ჩხაიძე, ი. კობალაძე და სხვები.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით) 6 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

6.45 — ალექსანდროვის კანტატა სტალინზე. 7.50 — ფანტაზია დუნაევსკის სიმღერების თემებზე. 8.30 — სიმღერები სამშობლოზე. 10.30 —„პიონერთა დაფიონის" საკვირაო გამოშვება. 12.15 — კონცერტი მოსწავლეთათვის — ქართული საგმირო და ლირიკული სიმღერები. 13.20 — კონცერტი საქართველოს რადიოკომიტეტის საგუნდო კაპელის შესრულებით. 13.50 — გადაცემა ციკლიდან: „თეატრი მიკროფონთან". სცენები რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლიდან: „დიადი მომავლისათვის". 17.15—კონცერტი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასულე ორკესტრის შესრულებით. 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის: „სიხარულით ვეგებებით დიად დღესასწაულს". 18.20 — ქართული მუსიკის კონცერტი. 19.00 — კონცერტი რადიომსმენელთა თხოვნით. 20.00 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXIII წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა.

მამიდა სონა, მამიდაშვილები დავით, კოტე, პლატონ, ტასო, თინა, რძლები ნასტა, თინა და ვიქტორია ჯაფარიძეები შვილებით, სიძეები შ. ბურდილაძე, გ. სადუნიშვილი იუწყებიან **მარიამ სპირიდონის ასულ ჯაფარიძე-ყიფიანის** გარდაცვალებას.

ლ. კალანდაძე, ირ. ბათიაშვილი, ვ. ფხაკაძე, ა. ბაღდავაძე, მ. ჭელიძე, მ. ქოიავა, ნ. ნადირაძე, ლ. გიგინეიშვილი, შ. სუპატაშვილი, ბ. მურუსიძე, ბ. ვარდოსანიძე, გ. ყანჩაველი, ე. ზაზუნოვა თანაგრძნობას უცხადებენ ე. ნებიერიძეს მისი ძმის **ბორისის** გარდაცვალების გამო.

ვ. საყვარელიძე, ბ. დგებუაძე, პ. ქაბაბჩიანი, გ. ჯავახია, ბ. კვირკელია, კ. ყარამაშვილი, ბ. კუბულაშვილი, ქ. ქერდევა, ი. მუმლაძე, ნ. კულიკი, ა. ფალავა, ს. გელანტია თანაგრძნობას უცხადებენ ა. ფაქსაშვილს მისი ძმის **ვანო კონსტანტინეს-ძე ფაქსაშვილის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნინო, შვილები ელენე, შოთა, თამარ, შვილიშვილი რამაზ მხეიძეები, და ევგენია პატარიძე, დისწულები ლიზა ბოკერია, კუკური და იაზონ პატარიძეები იუწყებიან **ვასილ ივანეს-ძე მხეიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-XI ქუთაისში, ურიცკის, 51.

მიხეილ, ანა, მარიამ, ელენე და აგნესა საბაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ბორის იაკობის-ძე ნებიერიძის** გარდაცვალებას.

ვ. კლოჩკო, მ. ფიშეროვიჩი, გ. ვარდანაშვილი, ვ. ჩუგულაშვილი, ე. კიკაბიძე, თ. ისაკიანი, ვ. ოატი, ა. არუთინოვა, ს. პიჩიკიანი, ნ. ლორთქიფანიძე, ს. კაჩხოევი, ა. დანდუროვა თანაგრძნობას უცხადებენ ბ. ბოხუას მისი მამის **ვიქტორ ანტონის-ძე ბოხუას** გარდაცვალების გამო.

ზ. მამამთავრიშვილი, პ. ქერქაძე, ს. შაიშმელაშვილი, რ. ერისთავი, დ. ყენია, გ. მუჯირი, ი. სურვილაძე, მ. კვერნაძე, კ. ლომაძე, ა. ბროკიშვილი, ო. ციცქიშვილი, ი. ზუერი თანაგრძნობას უცხადებენ გ. თოფურიას მისი დედის **აგრაფინა კონსტანტინეს ასულ თოფურიას** გარდაცვალების გამო.

თბილისის კინოსტუდიის მუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ ვ. ჭიჭინაძეს მისი მეუღლის **ქეთევან ივანეს ასულ ჭიჭინაძის** გარდაცვალების გამო.

შვილები აგრაფინა, მიხეილ, საშა და ანდრო ოჯახებით იუწყებიან **მატრონა მაქსიმეს ასულ ხიმონია-ნადარეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-XI, 7 ს. გამოსვენება 9-XI, 4 ს. კალინინის, 20.

აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და საექიმო საზოგადოება იუწყებიან ექიმ **ბორის იაკობის-ძე ნებიერიძის** გარდაცვალებას.

ე. ცერცვაძე, ა. ედიბერიძე, ა. ცქიტიშვილი, ა. შავკაციშვილი, გ. გურგენიძე, შ. ხაჭაპურიძე, მ. ქაჯაია, შ. რობიტაშვილი, ე. აბაშიძე, ვ. გურგენიძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ე. ნიორაძეს და ვ. გორშკოვას მათი მშობლების **ნინო და ალექსი გორშკოვების** გარდაცვალების გამო.

მეუღლე სირანა, შვილები მარო, ნინა, თამარ, სიძეები შ. ურუშაძე, გ. ქუქუნაშვილი იუწყებიან **ალექსანდრე ივანეს-ძე ჭეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 8-XI, 7 ს. დაკრძალვა 9-XI, 4 ს. სანაპიროს, 6.

შვილები ნინო, თალიკო, თამარ, ელენე და მარგარიტა, სიძეები შ. ნებიერიძე, ვ. ჩუბინიძე, ვ. დოლგოვი შვილებით იუწყებიან **მარიამ ზურაბის ასულ არაბიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-XI სოფ. მეორე სვირში (ზესტაფონის რაიონი).

დარიკო, თინა და ნიკოლოზ კობახიძეები ოჯახით იუწყებიან დისა და დეიდის **ივლიტე ბართლომეს ასულ დემეტრაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-XI სევაში (ონის რაიონი).

სოლომონ, მიხეილ, შალვა, ანტონ გოგნიაშვილები ოჯახებით იუწყებიან ექიმ **ბორის იაკობის-ძე ნებიერიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5-XI, 5 ს. ნინოშვილის, 16.

და ოლია, დისწულები ქორა, დოდო მეუღლით ლიდათი კალანდარიშვილები იუწყებიან **ირაკლი დავითის-ძე აბრამიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6, 7-XI, 7 ს. გამოსვენება 8-XI, 3 ს. საჯაიას, 11.

ლ. ბაღდავაძე, გ. ბეჟიტაძე, ლ. დალაქიშვილი, ვ. დოდელია, რ. მესხი, რ. ჯორბენაძე თანაგრძნობას უცხადებენ ინჟინერ ბ. ბოხუას მისი მამის **ვიქტორის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე თეკლე, ძმა რომან სხირტლაძეები, და მართა ლობჯანიძე იუწყებიან, რომ 8-XI, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **სიმონ გიორგის-ძე სხირტლაძის** პანაშვიდი.

შვილები კოლია, გიორგი, აკაკი, ვარვარა, ქსენია, რძლები ელენე, ანიკო, ნინო, შვილიშვილები რეზო, ვენერა, კიმა, ანდრო, ანჟელა მანჯგალაძეები იუწყებიან **ოლღა ანტონის ასულ მანჯგალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-XI ბათუმში, ლიბკნეხტის, 45.

მეუღლე პელაგია, შვილი სოსო, რძალი ქეთო, შვილიშვილები შურა, კოტე იუწყებიან **კონსტანტინე სიმონის-ძე შუბაშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05433